პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის ქ-ის და ცაკის ორგანო

№ 10 (5111) ოთხშაბათი, 12 იანვარი 1938 წ. ფასი 10 კაპ.

## დღეს სოციალიზმის ქვეყნის დედა-ქალაქში გაიხსნება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველი სესია

# გაუმარჯოს მთელი საბჭოთა ხალხის დეპუტატს—დიდ სტალინს!



დეპუტატმა უნდა იცოდეს, რომ იგი არის ხალხის მსახური, მის მიერ წარგზავნილი უზენაეს საბჭოში და იგი უნდა გაჰყვეს იმ ხაზს, რომელზედაც მას მიცემული აქვს განაწესი ხალხის მიერ.

o

ამომრჩევლებმა, ხალხმა თავის დეპუტატებს უნდა მოსთხოვონ, რომ ისინი დარჩნენ თავიანთი ამოცანების სიმაღლეზე, რომ ისინი თავის მუშაობაში არ დაეშვნენ პოლიტიკური ობივატელების დონემდე, რომ ისინი დარჩნენ ლენინის ტიპის პოლიტიკურ მოღვაწეთა პოსტზე, რომ ისინი იყვნენ ისეთივე ნათელი და გამორკვეული მოღვაწეები, როგორც ლენინი, რომ ისინი იყვნენ ისეთივე უშიშარნი ბრძოლაში და შეუბრალებელნი ხალხის მტრების მიმართ, როგორიც იყო ლენინი, რომ ისინი იყვნენ თავისუფალნი ყოველგვარი პანიკისაგან, პანიკის ყოველგვარი ნასახისაგან, როდესაც საქმე გართულებას იწყებს და ჰორიზონტზე ისახება რაიმე საფრთხე, რომ ისინი იყვნენ ისევე თავისუფალნი პანიკის ყოველგვარი ნასახისაგან, როგორც თავისუფალი იყო ლენინი, რომ ისინი იყვნენ ისევე ბრძენნი და აუჩქარებელნი რთული საკითხების გადაჭრის დროს, სადაც საჭიროა ყოველმხრივი ორიენტაცია და ყველა პლუსისა და მინუსის ყოველმხრივ გათვალისწინება, როგორც იყო ლენინი, რომ ისინი იყვნენ ისევე მართალნი და პატიოსანნი, როგორიც იყო ლენინი, რომ მათ ისევე უყვარდეთ თავისი ხალხი, როგორც უყვარდა იგი ლენინს.

**სტალინი**




## სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის გახსნის შესახებ

**კავშირის საბჭოს სესია კრემლში გაიხსნება 12 იანვარს დღის 4 საათზე კავშირის საბჭოს სხდომების დარბაზში.**

**ეროვნებათა საბჭოს სესია კრემლში გაიხსნება 12 იანვარს საღამოს 8 საათზე ეროვნებათა საბჭოს სხდომების დარბაზში.**

## საბჭოთა ქვეყნის უზენაესი ხელისუფალი

დღეს იხსნება საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს პირველი სესია, რომელიც განიხილავს და გადასწყვეტს სოციალიზმის ქვეყნის დიდ სახელმწიფოებრივ საკითხებს.

მრავალისმომსწრე კაცობრიობას ჯერ არ ახსოვს სხვა ასეთი პარლამენტი. არასოდეს და არსად, არცერთ თვით ყველაზე დემოკრატიულ ბურჟუაზიულ ქვეყანაშიაც კი, არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ხალხის მიერ ნამდვილად არჩეული, ხალხის ინტერესების ნამდვილი დამცველი და გამომხატველი უზენაესი ორგანო. ეს იმიტომ, რომ, როგორც დიდი ლენინი აღნიშნავდა, საყოველთაო საარჩევნო უფლება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მდიდრებისათვის ყოველთვის სამოთხეა, ხოლო ღარიბებისათვის მოტყუილება და მახის დაგება.

მხოლოდ სოციალიზმის ქვეყანაში, სადაც ხორცი შეესხა მშრომელი კაცობრიობის მრავალსაუკუნოებრივ ოცნებას ბედნიერების შესახებ, განხორციელდა ნამდვილად დემოკრატიული საარჩევნო უფლების საფუძველზე შექმნილი უზენაესი სახელმწიფო ორგანოს იდეალიც. მხოლოდ სტალინური კონსტიტუცია, რომელშიაც შეჯამებული და საკანონმდებლო წესით განმტკიცებულია ჩვენი უძლეველი ხალხის რევოლუციური ბრძოლის მსოფლიო-ისტორიული შედეგები, უზრუნველჰყოფს შეუზღუდველ პოლიტიკურ უფლებებს საბჭოთა ქვეყნის თვითეული მოქალაქისათვის.

ჩვენმა ხალხმა, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, უდიდესი მასწავლებლისა და გენიალური ბელადის მშობლიური **სტალინის** წინამძღოლობით, ააგო სოციალისტური საზოგადოება დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე. მან მოსპო ექსპლოატატორული კლასები, ძირფესვიანად ამოთხარა ექსპლოატაცია ადამიანისა ადამიანის მიერ და ყველა მშრომელს სასიხარულო ცხოვრება მოუპოვა.

ჩვენმა ქვეყანამ, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად გატარებით, მოსპო შუღლი ეროვნებათა შორის, დანერგა და განამტკიცა ხალხთა ურყევი სტალინური მეგობრობა, სოციალიზმის მშენებლობისათვის დიად ბრძოლაში ერთ ოჯახად შეაკავშირა მრავალეროვანი საბჭოთა ხალხი და შექმნა ისეთი ეროვნული სახელმწიფო, რომლის სიმტკიცე ყველა ბურჟუაზიულ ქვეყანას შეშურდება.

ჩვენმა სოციალისტურმა საზოგადოებამ ადამიანის ახალი ურთიერთობების დაკანონებით ბორკილი აჰყარა შრომას, გადააქცია იგი ღირსების, სიმამაცისა და გმირობის საქმედ. მან პირველად კაცობრიობის ისტორიაში ხალხის დიდ უმრავლესობას მოჰხადა ყოველდღიური ლუკმა-პურისათვის ზრუნვის გამანადგურებელი ტვირთი, შეუქმნა სასიხარულო აწმყო და უზრუნველყოფილი ბრწყინვალე მომავალი.

მხოლოდ ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში მიეცა ადამიანს მისი შემოქმედებითი ნიჭის გაფურჩქვნისა და განვითარების ფართო ასპარეზი.

საამაყოა ატარებდე საბჭოთა მოქალაქის მაღალ სახელწოდებას, უდიდესი ბედნიერებაა ცხოვრობდე, შრომობდე და ჰქმნიდე საბჭოთა ქვეყნის უღრუბლო ცის ქვეშ, **სტალინის** მზით გამთბარ და გაბრწყინვებულ საბჭოთა მიწაზე!

ამის შეგნება ღრმად შეიჭრა საბჭოთა ხალხის ცნობიერებაში. სწორედ ამიტომ იყო, რომ ერთი თვის წინათ, 12 დეკემბერს, უზენაესი საბჭოს არჩევნების ისტორიულ დღეს, მთელმა საბჭოთა ხალხმა—პოლონეთის საზღვრებიდან ვიდრე კამჩატკამდე და ჩრდილოეთის ყინულიანი ოკეანის სანაპიროებიდან ვიდრე შავ ზღვამდე—ერთსულოვნად ხმა მისცა კომუნისტებისა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს, ხმა მისცა ბოლშევიკურ პარტიას, ხმა მისცა საყოველთაო-სახალხო კანდიდატს დიდ **სტალინს**.

ეს იყო ხალხის უდიდესი ერთგულების დემონსტრაცია ბოლშევიკური პარტიისადმი და ხალხთა ბედნიერი ცხოვრების ორგანიზატორის, მამისა და მასწავლებლის დიდი **სტალინისადმი**.

განუზომელია ძალა დიადი საბჭოთა ხალხისა, რომელსაც ბოლშევიკური პარტია ხელმძღვანელობს და გზას **სტალინის** გენია უნათებს. იგი გადალახავს ყოველგვარ დაბრკოლებას, გამოამჟღავნებს და მოსპობს სოციალიზმის ყველა აშკარა და ნიღაბაფარებულ მტერს.

ფაშისტი ომის გამჩაღებლები და მათი მოსყიდული აგენტურა — ტროცკისტულ-ბუხარინული ქვეწარმავალნი, ცდილობენ დააჩქარონ იმპერიალისტების თავდასხმა საბჭოთა კავშირზე. პატრიოტიზმის უწმიდესი გრძნობით გაერთიანებული საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო გააძლიერებს თავდაცვას, უდიდესი სიყვარულითა და მზრუნველობით განამტკიცებს უძლეველ მუშურ-გლეხურ წითელ არმიას და საზღვაო და საჰაერო ფლოტს, რომლებიც ფხიზელ გუშაგად უდგანან საბჭოთა საზღვრების ხელშეუხებლობას.

უზენაესი საბჭო გაამართლებს საბჭოთა ამომრჩევლის ნდობას და წარმატებით იბრძოლებს ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის. ამის თავდებია ის, რომ საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოში ჩვენმა ხალხმა გაგზავნა თავისი საუკეთესო შვილები, დიდი სტალინის მიერ ნაწრთობი ადამიანები, რომლებმაც იციან, რომ დეპუტატი „არის ხალხის მსახური, მის მიერ წარგზავნილი უზენაეს საბჭოში და იგი უნდა გაჰყვეს იმ ხაზს, რომელზედაც მას მიცემული აქვს განაწესი ხალხის მიერ" (**სტალინი**).

მაშინ, როდესაც კაპიტალისტურ ქვეყნებში სისხლიანი ფაშიზმი ანადგურებს უბადრუკი ბურჟუაზიული დემოკრატიის უკანასკნელ ნაშთებს, საბჭოთა კავშირში მუშაობას იწყებს თანმიმდევრული სოციალისტური დემოკრატიზმის საფუძველზე არჩეული ჭეშმარიტად სახალხო პარლამენტი. უზენაესი საბჭოს სესიის გახსნას გულის ფანცქალით მოელიან საზღვარგარეთ მთელი მსოფლიოს ჩაგრული მშრომელები, რომელთაც ძალას ჰმატებს და ფაშიზმთან ბრძოლაში აკაჟებს სოციალისტური ქვეყნის ყოველი წარმატება.

განუსაზღვრელი სიხარულითა და აღფრთოვანებით ეგებებიან დღევანდელ თარიღს სოციალიზმის ქვეყნის ბედნიერი მშრომელები. ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით ისინი კიდევ მეტი ენტუზიაზმითა და გატაცებით გააჩაღებენ 1938 წლის დიდი პოლიტიკურ-სამეურნეო ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის ბრძოლას.

დღეს, როდესაც საბჭოთა სახელმწიფოს უზენაესი ხელისუფალი, ხალხის მიერ დემოკრატიულად არჩეული და მისი ნება-სურვილის გამომხატველი უზენაესი საბჭო იწყებს მუშაობას, სოციალიზმის თვალუწვდენი ქვეყნის ყველა მშრომელის ფიქრები, მისი უსაზღვრო მადლობისა და სიყვარულის გრძნობა მიმართულია საყოველთაო-სახალხო დეპუტატისა, განთავისუფლებული კაცობრიობის ხარტიის შემოქმედის — დიდი სტალინისადმი, რომლის გენიალური სარდლობით საბჭოთა ხალხი ძლევამოსილად მიიწევს კომუნიზმისაკენ.

## ხალხის წარგზავნილები

**მოსკოვი**, 11 იანვარი (საქტესი). სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე თავს იყრიან ხალხის ამორჩეულნი. ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანები, აღჭურვილნი საბჭოთა კავშირის მილიონობით მშრომელთა ნდობით, გადასწყვეტენ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო საკითხებს. მხურვალედ აცილებენ თავიანთ გაგზავნილებს ქალაქთა, სოფელთა, აულთა, ყიშლაღთა მცხოვრებნი.

სასიხარულო დღე იყო 10 იანვარი კრონშტადტის წითელფლოტელ წყალქვეშელებთან. ისინი აცილებდნენ სესიაზე თავიანთ ამხანაგს — უზენაესი საბჭოს დეპუტატს, უმცროს მეთაურს ორდენოსან ა. ფ. სელეზნიოვს. დილის 8 საათზე გემის სასადილო გაიჭედა წითელფლოტელებით, მეთაურებითა და პოლიტმუშაკებით.

— ჩვენ ვავალებთ ამხ. სელეზნიოვს მხურვალე და გულწრფელი სალამი გადასცეს საყვარელ სტალინს ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის მამაც წყალქვეშელებისაგან, — სთქვა ამხ. ზვერევმა, რომლის სიტყვასაც მოჰყვა ერთსულოვანი ტაშის გრიალი. დანაბარევის პასუხად ა. ფ. სელეზნიოვი იძლევა პირობას, იმუშაოს ძალღონის დაუზოგავად ჩვენი მშვენიერი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად და დააფასოს ნდობა, რომლითაც იგი ამომრჩევლებმა აღჭურვეს.

დონის როსტოვის მშრომელნი გულთბილად აცილებდნენ მოსკოვს თავის დეპუტატებს: დონის ყაზახს კოლმეურნეს ამხ. სკილკოვს, ლენინის სახელობის ორთქლმავალსარემონტო ქარხნის მუშას ამხ. ფედოროვსა და სხვებს. ასეთი გაცილებით აღელვებული დეპუტატები უზიარებდნენ თავიანთ ამომრჩევლებს გრძნობებსა და შთაბეჭდილებებს.

— წითელ დედაქალაქში,—ამბობს ფროლ სკილკოვი, — მიმაქვს ჩემი კოლმეურნეების განწესი, რათა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიას გადავცე მხურვალე გულითადი სალამი და ვუამბო, თუ რა ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრება არის საბჭოთა დონზე.

10 იანვარს სტალინოდან მოსკოვს გაემგზავრნენ დონბასის მშრომელთა წარგზავნილები: ამხ. მირონ დიუკანოვი, პეტრე კრივონოსი, პაშა ანგელინა, სუხოსტავსკი, კურაკინი და სხვ. რუტჩენკოვის ამომრჩეველი-შახტერები სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატის ორდენოსანი ამხ. სმირნოვის გაცილების დროს შეიკრიბნენ მრავალრიცხოვან მიტინგზე. მათ მისცეს ამხ. სმირნოვს საბრძოლო დავალება მომავალი მუშაობისათვის სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში და თავის მხრით იკისრეს ყოველმხრივ გაშალონ შრომის ნაყოფიერება, გაადიდონ ქვანახშირის ამოღება მაღაროებში, იბრძოლონ ქვანახშირისათვის.

## მოსკოვი გულთბილად ეგებება ხალხის რჩეულთ

(მოსკოვი, 11 იანვარი, ჩვენი საქ. კორესპონდენტისაგან)

მოსკოვი გულთბილად ხვდება ხალხის რჩეულთ—უზენაესი საბჭოს დეპუტატებს. სადგურების შენობები მორთულია საყვარელი ბელადების დიდი პორტრეტებით, წითელი ლენტებით, რომლებზეც მისალმების სიტყვებია წარწერილი. თვითეულ სადგურში რბილი ავეჯითა და ნოხებით მოწყობილ, ყვავილებით მორთულ სპეციალურ ოთახში დეპუტატები იღებენ ყველა აუცილებელ ცნობას, მოსკოვის დღევანდელ გაზეთებს, აქედანვე უგზავნიან მათ სასტუმროებში. შორეული მატარებლების მოსვლისთანავე სადგურების მოედნებზე ჩამწკრივდებიან ხოლმე სტალინის ავტოქარხნის საუცხოო შვიდადგილიანი მანქანები.

ხალხის წარგზავნილებს, გულთბილი შეხვედრით აღტაცებულებსა და აღელვებულებს, წითელი დედაქალაქი მოსკოვი ეგებება ფართო პროსპექტებით, ელექტროშუქის ნაკადებით. სსრ კავშირის ცაკის სახლში სწარმოებს დეპუტატების რეგისტრაცია. ფართოდ გადაშლილა წითელი მოედანი. ლენინის მავზოლეუ, დართვილული ნაძვები. კრემლის კედლების თოვლით გადაპენტილი ქონგურები, წითელი დროშა მთავრობის სასახლეზე, კრემლის კოშკების ლალის ვარსკვლავები... აი ის—მოსკოვის გული, რომლისკენაც მიმართულია მთელი მშრომელი კაცობრიობის ფიქრები და იმედები. მისასალმებელი ლოზუნგები ხვდებათ სსრ კავშირის საუკეთესო ადამიანებს სარეგისტრაციო კომისიის დარბაზის შესავალთან. აქ საქმიანი სიჩუმეა, იატაკებზე დაგებულია ხოხები, რომლებიც ნთქავენ ნაბიჯების ხმაურს.

საქართველოს დეპუტატებს, რომლებიც მოსკოვში გუშინ ჩამოვიდნენ, სადგურის პერონზე უამრავი ხალხი დახვდა. ორთქლმავალმა „იოსებ სტალინმა" № 2043 დაუგვიანებლად ჩამოიყვანა მატარებელი. ვაგონებიდან გამომავალ დეპუტატებს ხვდებოდნენ საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის მუშაკები, გაზეთების კორესპონდენტები. კაცს თვალს სჭრიდა „იუპიტერების" შუქი. კინოოპერატორები ჩქარობდნენ აღებეჭდათ პირველი უზენაესი საბჭოს დეპუტატთა პირველი ნაბიჯები მოსკოვის მიწაზე. ყველა დეპუტატს სახე სიხარულით უბრწყინავს. 12 იანვარს ისინი, მთელ ჩვენს ქვეყანასთან ერთად, რომელმაც მათ მიანიჭა უზენაესი საბჭოს დეპუტატის მაღალი სახელწოდება, ეგებებიან როგორც დიდ დღესასწაულს.

## სესიის გახსნის აღსანიშნავად

**მოსკოვი**, 11 იანვარი (საქტესი). 12 იანვარს, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის გახსნის დღეს, მოსკოვის ყველა სტადიონზე, საციგუროზე და პარკში იწყობა მასობრივი სასპორტო დღესასწაულები.

## ტყიბულმა გეგმა გადაჭარბებით შეასრულა

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მოწვევასთან დაკავშირებით, ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებმა იანვრის პირველი დეკადის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს.

გეგმით გათვალისწინებულ 6.672 ტონა ქვანახშირის ნაცვლად, ამოღებულია 7.690 ტონა, რაც გეგმის 115,3 პროცენტს შეადგენს.

აქედან ლენინის სახელობის მაღაროში 4.000 ტონის ნაცვლად ამოღებულია 4.639 ტონა, გეგმის 116 პროცენტი.

სტალინის სახელობის მაღაროში 2.672 ტონის ნაცვლად ამოღებულია 3.059 ტონა, რაც გეგმის 114,2 პროცენტს უდრის.

## სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველი სესია

დღეს მოსკოვში, მსოფლიოში მუშებისა და გლეხების პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დედაქალაქში, მუშაობას იწყებს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველი სესია.

ხალხის რჩეულნი ჩამოვიდნენ მოსკოვს ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა კუთხიდან. მათ, კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს, ერთსულოვნად მისცა ხმა 90 მილიონმა საბჭოთა მოქალაქემ. ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო არჩეულია მთელი ჩვენი ხალხის ნება-სურვილით.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველი სესია გადასწყვეტს უმნიშვნელოვანეს საკითხებს. კავშირის საბჭო და ეროვნებათა საბჭო — სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ორი თანასწორუფლებიანი პალატა — თავიანთ სხდომებზე აირჩევენ კავშირის საბჭოს თავმჯდომარეს და ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეს.

ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე არჩეულ იქნება უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი და შეიქმნება მთავრობა — სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო. კავშირის საბჭო და ეროვნებათა საბჭო ცალ-ცალკე აირჩევენ სამანდატო კომისიებს, რომლებიც შეამოწმებენ დეპუტატთა რწმუნებებს.

სტალინურმა კონსტიტუციამ დაამყარა მტკიცე წესი, რომლითაც სსრ კავშირის კანონების გამოცემის უფლება მხოლოდ და მხოლოდ სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს ეკუთვნის. დღეს გახსნილი სესია განიხილავს საკითხებს, რომლებიც სტალინური კონსტიტუციით უზენაესი საბჭოს კომპეტენციას შეადგენს.

უზენაეს საბჭოში არჩეულია 1143 დეპუტატი. მათ შორის არიან სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შესანიშნავი სტახანოველები, მუშურ-გლეხური წითელი არმიის საუკეთესო წარმომადგენლები, გამოჩენილი მეცნიერები, მწერლები, ექიმები, ინჟინრები, აგრონომები, მასწავლებლები. თავისი შრომით, პირადი და საზოგადო ცხოვრების მაგალითით, საქმის წაყვანის ცოდნით, პატიოსნებითა და კომუნიზმის საქმისათვის თავდადებით მათ დაიმსახურეს ჩვენი ხალხის მაღალი ნდობა.

თვე, რომელიც გავიდა არჩევნების შემდეგ, უზენაესი საბჭოს დეპუტატებმა ახალი სასახელო საქმეები აღნიშნეს.

მთელ ჩვენს ქვეყანას მოედო ამას წინათ უზენაესი საბჭოს დეპუტატის, მოსკოვის ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის წარჩინებული სტახანოველის ამხ. ი. ი. გუდოვის შესანიშნავი რეკორდების ამბავი. თავის დაზგასთან მან დაგვანახვა, როგორი მაღალი ნორმების შესრულება შეიძლება, თუ კაცი ინიციატივასა და ხერხს გამოიჩენს და სტახანოვური მეთოდებით იმუშავებს. გუდოვის მუშაობის ხერხებს ახლა საბჭოთა კავშირის მრავალ საწარმოთა სტახანოველები ჰბაძავენ.

უზენაესი საბჭოს თავიანთი დეპუტატის ამხ. კ. ფ. სახაროვას მაგალითის მიხედვით, ნოგინის სახელობის ფაბრიკის (ვიჩუგაში) სტახანოველები ფართოდ მიმართავენ სოციალისტურ დახმარებას ჩამორჩენილ მუშებისათვის, ეხმარებიან მათ გამოვიდნენ მოწინავეებში და ამრიგად ავსებენ სტახანოველთა სახელოვან რიგებს.

უზენაესი საბჭოს დეპუტატმა აზერბეიჯანის ბამბის მინდვრების სტახანოველმა ორდენოსანმა ბასტი ბაგიროვამ — სოციალისტური შეჯიბრების წამომწყებმა ბამბის კრეფაში, დაგვანახვა მუშაობის ახალი ბრწყინვალე ნიმუშები; მან მიიღო რესპუბლიკაში ყველაზე მაღალი მოსავალი — 142,6 ცენტნერი ბამბა თითო ჰექტარზე.

კრასნოდარის მხარის შტეინჰარდტის მტს-ის მუშები, ტრაქტორისტები და კომბაინერები უზენაესი საბჭოს დეპუტატის წარჩინებული კომბაინერის ამხ. ქ. ა. გორინის ჩასვლის შემდეგ ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში სხვა მტს-ებთან და საბჭოთა მეურნეობებთან სტალინური მესამე ხუთწლედის პირველი ბოლშევიკური გაზაფხულისათვის საუკეთესო მომზადებაზე.

ასე მიუძღვებიან წინ მასებს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატები თავიანთი პირადი მაგალითით, თავიანთი წარმატებებით.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველი სესია უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ჩვენი სახელმწიფოს ცხოვრებაში. ჩვენს ქვეყანაში თავის საქმიანობას იწყებს ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც შექმნილია დიადი სტალინური კონსტიტუციის — მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის საფუძველზე.

ბურჟუაზიულ დემოკრატიულ ქვეყნებში აირჩევენ თუ არა დეპუტატებს პარლამენტში, იგი ჰკარგავს კავშირს თავის ამომრჩევლებთან. მას ავიწყდება თავისი დაპირებანი, რომელთაც უხვად აძლევდა ამომრჩევლებს არჩევნების წინ. სულ სხვანაირად არის საქმე ჩვენში, სოციალიზმის ქვეყანაში, სადაც ხელისუფლების სათავეში დგანან ხალხიდან გამოსული ადამიანები. ჩვენში უზენაესი საბჭოს დეპუტატი დიდი ნდობით არის აღჭურვილი, მაგრამ ამავე დროს მათ უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრიათ ამომრჩევლების წინაშე, ხალხის წინაშე.

დღეს, როდესაც სსრ კავშირის უზენაესი საბჭო თავის მუშაობას იწყებს, მთელი ჩვენი ქვეყანა უდიდესი სიხარულით აღნიშნავს ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას. იყვნენ ისეთები, როგორიც არის სტალინი, იმუშაონ ლენინურად, სტალინურად — აი რას აბარებენ ამომრჩევლები ერთსულოვნად თავიანთ დეპუტატებს, რომელნიც შეიკრიბნენ დღეს მოსკოვში სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა საქართველოს მშრომელნი უდიდესი აღფრთოვანებით ეგებებიან უზენაესი საბჭოს სესიის გახსნას

## ენთუზიაზმის ახალი ტალღა

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ - შემკეთებელი ქარხნის კოლექტივი აღფრთოვანებული ხვდება 12 იანვარს, — სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის გახსნის დღეს.

ქარხნის მოწინავე ადამიანებმა იკისრეს ახალი ვალდებულებები და სასახელოდაც შეასრულეს ისინი.

სამჭედლო საამქროს იმ ბრიგადამ, რომელსაც წინათ ორდენოსანი ამხ. დავით ქიქინაძე ხელმძღვანელობდა, მისი მოწაფის, სტახანოველ ამხ. მ. გუგულაშვილის ხელმძღვანელობით გადააჭარბა მის მიერ წინათ დამყარებულ რეკორდს და 6 საათის განმავლობაში 6 კაცის შემადგენლობით ორთქლმავლის 16 რგოლი გამოსჭედა.

მჭედელმა ამხ. ვ. თხილაძემ უროს დამკვრელ ამხ. ი. ქვრივიშვილთან ერთად 70-ის ნაცვლად 575 საორთქლმავლო დეტალი გამოსჭედა.

მეორე მჭედელმა ამხ. ქ. ილურიძემ ფერის მცემელ ამხ. გ. ოხანაშვილთან ერთად 4 სარესორო დეტალის ნაცვლად 40 გამოუშვა.

სესიის გახსნის დღესთან დაკავშირებით ნაკისრ ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულებაში თავი ისახელეს აგრეთვე მთელმა რიგმა ამხანაგებმა, რომლებიც მანამდე ჩამორჩებოდნენ. მჭედელმა ამხ. ლევან ხრიკულმა, რომელიც საწარმოო დავალებათა შესრულებაში სისტემატურად ჩამორჩებოდა, ახლა, უროს მცემელ ამხ. ვას. აბულაძესთან ერთად დავალება 640 პროცენტით შეასრულა.

გუშინ ქარხანაში შესვენების დროს გაიმართა სესიის გახსნისადმი მიძღვნილი მიტინგები.

სამჭედლო საამქროში მიტინგზე სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა შინჯიკაშვილმა და ქავარენკომ განაცხადეს:

— ჩვენ ყოველთვის ვიბრძოლებთ მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის, კიდევ უფრო განვამტკიცებთ ჩვენი ყოფილი ბრიგადირისა და სახელოვანი დეპუტატის ამხ. დ. ქიქინაძის მიღწევებს. შევეცდებით გადავაჭარბოთ მის რეკორდებს. თუ გასულ წელს ჩვენმა საამქრომ წლიური გეგმა 9 თვეში შეასრულა, პირობას ვიძლევით, წელს ეს გეგმა 8 თვეში შევასრულოთ.

სახარატო საამქროში მიტინგმა წუნის წინააღმდეგ ბრძოლის ნიშნით ჩაიარა. გამოსული ამხანაგები ქსოვრელი და გაგლოევი საამქროს მუშების სახელით პირობას იძლევიან არ გამოუშვან წუნი და მიაღწიონ ახალ-ახალ საწარმოო გამარჯვებებს.

ახალი საწარმოო ვალდებულებები აიღეს დანარჩენ საამქროებშიაც. მუშები იბრძვიან გზათა სახალხო კომისარიატის გარდამავალი დროშის მოპოვებისათვის.

სტალინელებმა უნდა გვიჩვენონ მათთვის ჩვეული დარაზმულობა და ქარხანა მოწინავეთა რიგებში ჩააყენონ.

## მანქანათმშენებელთა მიტინგზე

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მიტინგი, მიძღვნილი სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის გახსნისადმი, ენტუზიაზმით ჩატარდა. ამ დღის ქარხნის მთელი კოლექტივი ახალი წარმატებებით ხვდება. 1937 წლის საწარმოო-საფინანსო გეგმა აქ 104 პროცენტით შეასრულეს.

სამსხმელო საამქრომ, რომელიც წინათ ქარხანაში ყველაზე ჩამორჩენილად ითვლებოდა, წლიური გეგმა ვადაზე 10 დღით ადრე და კარგი ხარისხით შეასრულა. სოცშეჯიბრების ფართოდ გაშლით და შრომის სტახანოვური მეთოდების დანერგვით საამქრო არა მარტო დაეწია მოწინავე საამქროებს, არამედ მათ გაუსწრო კიდეც. ასეთსავე წარმატებას მიაღწია მეორე სამწყობო საამქრომაც, რომლის უფროსად ამას წინათ სტახანოელი ბრიგადირი ს. ჭოხონელიძე დააწინაურეს.

სიტყვებით გამოდიან სტახანოველები—მ. შერმაზანოვი, ა. მელაძე, ს. ტაინოვი, ს. ჭოხონელიძე და ოქროპირიძე. ისინი ლაპარაკობენ ქარხნის წარმატებებზე, საამურ და ბედნიერ ცხოვრებაზე, რომელიც მშრომელ ხალხს ჩვენმა მშობლიურმა სტალინმა შეუქმნა.

— ჩვენ,—აცხადებენ მიტინგზე სიტყვით გამოსული სტახანოველები, —ერთი წუთითაც არ შევანელებთ აღებულ ტემპებს, კიდევ უფრო გავაძლიერებთ შემტევ რევოლუციურ სიფხიზლეს, ავსწევთ შრომის ნაყოფიერებას და უზრუნველვყოფთ მესამე სტალინური ხუთწლედის პირველი წლის საწარმოო-საფინანსო გეგმების ვადამდე და მაღალხარისხოვნად შესრულებას.

პირველ სამწყობო საამქროს მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა სახელით ამხ. ტაინოვმა მიტინგს განუცხადა, რომ იგი კისრულობს ვალდებულებას გეგმით გათვალისწინებული ათი მანქანის ნაცვლად იანვარში გამოუშვას 13 მანქანა.

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მიტინგზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ისინი კიდევ უფრო განამტკიცებენ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკს, კიდევ უფრო დაირაზმებიან ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, შეძლებული, მხიარული და საამური ცხოვრების შემომქმედის, დიდი სტალინის გარშემო.

## გეგმას გადაჭარბებით ასრულებენ

თბილისის მოლოტოვის სახელობის ავეჯეულობის ფაბრიკა ახალი ვალდებულებებითა და ახალი ენტუზიაზმით ეგებება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველ სესიას. არიან სტახანოველები, რომელთაც გეგმები ვადაზე ადრე მაღალი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლებით შეასრულეს.

სათერზიო დაზგის სტახანოველმა მუშამ დ. ბარსეგოვამ დეკემბრის გეგმა 280 პროცენტით შეასრულა, სამქედლო ბრიგადამ, ბრიგადირ გ. ცხომელიძის ხელმძღვანელობით, — 176 პროცენტით, შ. სიბაშვილმა — 250 პროცენტით. გ. შონიაძეს, ნარიმანიშვილს და სხვებს გეგმის შესრულებაში ასეთივე მაღალი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები აქვთ.

ქარხანამ წლიური გეგმა 141,8 პროცენტით შეასრულა. გაიზარდა აგრეთვე შრომის ნაყოფიერება 122,3 პროცენტამდე.

უზენაესი საბჭოს პირველ სესიასთან დაკავშირებით ფაბრიკამ აიღო ვალდებულება 1938 წლის ბოლო რიცხვებისათვის გამოუშვას 20 სხვადასხვა ნიმუშის ავეჯი, მათ შორის 4 ნიმუშის ძვირფასი მაგიდები, სკამები და სხვ.

## ტრამვაელთა სიხარული

ტრამვაის მუშები, დირექცია, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები ამაყობენ თავიანთი საუკეთესო სტახანოველებით, ჩვენი ბედნიერი ქვეყნის ამ მოწინავე ადამიანებით, წარმოების ენტუზიასტებით, რომლებიც უზენაესი საბჭოს არჩევნების ისტორიულ დღეს—12 დეკემბერს საუკეთესო მაჩვენებლებით შეხვდნენ.

ამ ბრწყინვალე თარიღიდან ყოველდღიურად — მაღლადამაღლა იწევს ტრამვაის წარჩინებულ ადამიანთა შრომის ნაყოფიერება, მათი ხელფასი, საყოფაცხოვრებო პირობები.

აი, სტეფანე ქსოვრელი—საუკეთესო სტახანოველი, ტრამვაის მექანიკური საამქროს ხარატი, კომკავშირელი, რომელმაც დეკემბრის გეგმა 246 პროცენტით შეასრულა. სოცშეჯიბრებაში ჩაბმულმა ქსოვრელმა 7 იანვარს კომპრესორის ერთი ცალუღი 14 საათის ნაცვლად 7 საათში დაამზადა და, გარდა ამისა, ვაგონის კბილანა 2 საათით ადრე გაჩარხა. ნოემბერში ქსოვრელმა 604 მანეთი ხელფასი მიიღო, ხოლო დეკემბერში —675 მან.

სარეკორდო მაჩვენებლებს იძლევა მჭედელი პეტრე გრიჩაევი. ის სოცშეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებას სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს. 4 იანვარს გრიჩაევმა თავისი ნორმა 571,4 პროცენტით შეასრულა და ამ დღეს 172 მან. 50 კაპ. გამოიმუშავა.

ასეთი მაჩვენებლებით ხვდებიან ტრამვაის სახელოსნოს დამკვრელი და სტახანოველი მუშები სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველ სესიას, რომელიც დღეს იხსნება სოციალიზმის ქვეყნის დედაქალაქში.

*

გუშინ ტრამვაის მთელმა კოლექტივმა უზენაესი საბჭოს სესიის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგზე, რომელსაც 900 კაცზე მეტი დაესწრო, კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება ლენინ-სტალინის დიადი პარტიისადმი, საბჭოთა ხელისუფლებისადმი, საყვარელ ბელად მშობლიურ სტალინისადმი.

სტახანოველმა მჭედელმა გრიჩაევმა და ხარატმა ქსოვრელმა სესიის გახსნასთან დაკავშირებით იკისრეს ვალდებულება — იმუშაონ კიდევ უფრო მეტი ნაყოფიერებით და თავიანთი გამოცდილება გაუზიარონ ამხანაგებს.

მოძრაობის დარგის მუშაკებმა—სარქისოვმა, გოგრიჭიანმა და სხვებმა აღუთქვეს მიტინგს—იმუშაონ უავარიოდ და გრაფიკის მიხედვით.

მიტინგზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: „სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველი სესია, რომელიც ხვალ გაიხსნება საბჭოთა კავშირის წითელდედაქალაქში, წარმოადგენს საბჭოთა ხალხის პოლიტიკური და მორალური ერთიანობის ნათელ დადასტურებას.

— ვადამდე გადაჭარბებით შევასრულებთ გეგმებს, მოვსპობთ ავარიებს,—ნათქვამია შემდეგ რეზოლუციაში,—ამოვფხვრით საზიზღარი ტროცკისტ-ბუხარინელი გარეწრების მავნებლობის შედეგებს, კიდევ უფრო მეტად გავაძლიერებთ რევოლუციურ სიფხიზლეს, გამოვამჟღავნებთ და გავსრესთ პირსისხლიანი ფაშიზმის აგენტთა ნაბოლარებს.

— ჩვენ პირნათლად შევასრულებთ უზენაესი საბჭოს სესიის ყველა გადაწყვეტილებას,—ასე ამთავრებენ თავის რეზოლუციას ტრამვაელები.

## საწარმოო ენტუზიაზმი და აღმავლობა მაუდის ფაბრიკაში

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მოწვევასთან დაკავშირებით თბილისის მაუდის ქარხნის სტახანოველებსა, დამკვრელებსა და რიგით მუშებს შორის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება.

1-ლიდან 9 იანვრამდე ფაბრიკამ, ცალკეულმა საამქროებმა, კომპლექტებმა, სტახანოველებმა და რიგითმა მუშებმა დიდ რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს მიაღწიეს.

კამვოლური საამქრო (საამქროს უფროსი—მ. ლოლუა) სისტემატური გადაჭარბებით ასრულებს ყოველდღიურ გეგმებს. 7 იანვარს საამქრომ გეგმა 112,6 პროცენტით შეასრულა, 8 იანვარს—111,3-ით, 9 იანვარს —110-ით.

ამავე საამქროს მუშები დღიურ ნორმებს სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებენ. მაგალითად, მ. გლადკინმა 7 იანვარს დღიური ნორმა 121,5 პროცენტით შეასრულა. ასეთივე მაჩვენებლები აქვს მას სხვა დღეებშიც.

ასევე მაღალი საწარმოო წარმატებებით ხვდებიან სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიის გახსნას ნ. ზარქუა, რომელმაც 7 იანვარს გეგმა 129 პროცენტით შეასრულა, 8 იანვარს —127-ით, 9 იანვარს—128,8-ით, ელ. ჩერნოვა, ქ. ტახნაძე და სხვები.

საქსოვ საამქროში (უფროსი ა. სურიელაშვილი) 2 დაზგაზე მომუშავე მუშა-ქალმა მედვედევამ 9 იანვარს დღიური ნორმა 115 პროცენტით შეასრულა, ასეთივე მაჩვენებლები აქვს მას სხვა დღეებშიაც.

ამ საამქროში გეგმების შესრულების მხრივ წინ მიდიან აგრეთვე 3 დაზგაზე მომუშავე გოგოროვა, ვორობიოვა, ისაკინა, ეირანოვა, კონიაშვილი და სხვ.

მაუდის საამქროში (საამქროს უფროსი—ნ. ბალანჩივაძე) გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ ლ. კვარაცხელია (8 იანვარს 168,1 პროც., 9 იანვარს—106,9 პროც.), ქ. ამპირონოვა, ნ. ოთარაშვილი, ი. შაფრანეცი და სხვ. გარდა ამისა, გეგმა გადაჭარბებით შეასრულა მთელმა ფაბრიკამ. 1-ლიდან 3 იანვრამდე გეგმის შესრულება 103 პროცენტს უდრის.

ამ 9 დღეში გასული წლის დეკემბერთან შედარებით ფაბრიკას დიდი მიღწევები აქვს გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მხრივაც. გამოშვებული პროდუქციის 63 პროც. პირველი ხარისხისაა, დანარჩენი მეორე და მესამე ხარისხისა. ხარისხის ასეთი ამაღლება მაუდის ფაბრიკაში ჯერ არავის არ ახსოვს.

ფაბრიკის მუშებისა და მუშა-ქალების ენტუზიაზმი და საწარმოო აღფრთოვანება დღითიდღე მატულობს.



სადგ. ნავთლუღის საკვანძო კომიტეტის მდივანი ამხ. ლუარსაბოვი (ცენტრში) ესაუბრება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მოწვევის შესახებ პოლიტსწავლების ფრიადოსნებს — სატვირთო დისპეტჩერს ამხ. კაკაშვილს (მარცხნით) და ნიშნოსან მეისრეს ამხ. ნონიკაშვილს (მარჯვნით).

ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.).

## ვარლამ ჟურული

## მშობლიურ სტალინს!

სანამ ყინული ცივია,
მტკვარს შეჩხრიალებს ლიახვი.
სანამ არწივნი წივიან,
ვეფხია თვალგამჭრიახი,

სანამ ღრუბლიდან იწვიმებს,
მზეა სინათლის მშობელი,
სანამ ყვავილი ციმციმებს
დილის ცვარ შეუშრობელი,

სანამ მწვერვალად დარჩება
თეთნულდი თოვლში ჩაფლული,
სანამ შავი ზღვა დაშრება
შეწყდება ტალღის დგაფუნი,

სანამ ბუტბუტით მდინარე
ირბენს მთებიდან ველადო,
მანამ იცოცხლე, იდარე
ქვეყნის მნათობო ბელადო!

აჩენს ტაშების ქარიშხალს
შენი სახელის ხსენება.
ჭირში იმედის ფარი ხარ.
ბნელში — ლამპარის ჩვენება.

პირველად ქართლში დაძლიე
შოთას ლექსების ანბანი:
ღარიბს ნუგეში აძლიე, —
აზიდე ჩაგრულთ ჭაპანი.

მაშინ ცისკარიც ბნელოდა,
კლდეც ინგრეოდა ოხვრითა.
მთელი მსოფლიო გელოდა
გმირს—ჯუღაშვილის ქოხიდან.

გმირული ქვეყნის ბელადი
გული ხარ ყველა გულისა.
ვარდი გასხია ყელამდი
მშობლიურ სიყვარულისა.

მინდვრად ირხევა სუმბული,
მაღლით ვარსკვლავი ცახცახებს,
შტოდან გიგალობს ბულბული,
ტყეს შენს დიდებას გასძახებს.

სალამს გითვლიან ფიჭვებიც
ზედ დაზამთრებულ ფანტელით,
სადაც აზრებით იჭრები —
ელავს სიმართლის ნათელი.

მშრომელი ხალხის ტვინი ხარ.
სჭედავ ცხოვრებას საამურს,
მწყემსის ფარეხთან მიდიხარ,
შენზე უკრავენ სალამურს:

— ჩვენი ნატვრაა — სტალინი!
— ჩვენი სუნთქვაა — სტალინი!
— ჩვენი დროშაა — სტალინი!
— ჩვენი მზე არი — სტალინი!
— იყოს დღეგრძელი მანამდი,
სანამ ზეცაა მარადი!..

## სოცშეჯიბრებით გამარჯვებულნი

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატის ნატალია სადალაშვილის სამშობლო სოფელი—ქახვრელი ცარიზმისა და მემამულეთა ბატონობის დროს ჩამორჩენილი და უკულტურო იყო.

ახლა სოფ. ქახვრელს ველარ იცნობთ. საკოლმეურნეო ცხოვრებამ შესცვალა მისი სახე. წლების განმავლობაში ძლიერი კოლმეურნეობები შეიქმნა აქ.

სერგო ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც მუშაობს ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ერთგული შვილი, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატი ამხ. **ნატალია სადალაშვილი,**—გაერთიანებულია 125 კომლი. კოლმეურნეობას სახელმწიფო აქტით უფასოდ მუდმივ სარგებლობაში აქვს გადაცემული 500 ჰექტარი მიწა. კოლმეურნეობას დიდძალი პური, ქერი, სიმინდი, შაქრის ჭარხალი და ბოსტნეული მოჰყავს. ხეხილის ბაღები, რომელიც 16 ჰექტარზეა გადაჭიმული, უხვი ნაყოფით ავსებს და ახარებს კოლმეურნეთა ოჯახებს.

გასულ წელს კოლმეურნეობამ ჭარხლის საუკეთესო მოსავალი მიიღო.

ამ გამარჯვებას ხელი შეუწყო სას.-სამ. არტელის სტალინური წესდების მტკიცედ გატარებამ და სოციალისტური შრომის მეთოდების ფართოდ გამოყენებამ.

სოციალისტური შეჯიბრების ცეცხლში სჭედავდა თავის გამარჯვებებს ჩვენი სახელოვანი დეპუტატი ნატალია სადალაშვილი. მისმა ბრიგადამ სოცშეჯიბრებაში გამოიწვია კ. მირუაშვილის ბრიგადა № 1. მას მიჰბაძა № 2 ბრიგადამ (ბრიგადის ხელმძღვანელი—ყაზარ სადალაშვილი) და შეჯიბრებაში გამოიწვია № 4 ბრიგადა. სოციალისტური შეჯიბრების ცეცხლში იშვნენ სტახანოველთა ახალი კადრები. სერგო მირუაშვილმა გამოიმუშავა 533 შრომადღე, ვანო სადალაშვილმა და მისმა შვილმა —600 შრომადღე. სტახანოვური შრომის საუცხოო მაგალითი გვიჩვენა ჭარხლის ამოღება-გაწმენდაში ნატალია სადალაშვილის ბრიგადამ. ამ ბრიგადის წევრები სირანა მამისაშვილი და კატო ჯანეზაშვილი ნაცვლად 4 ცენტნერისა, რაც გეგმით იყო გათვალისწინებული, დღეში სწმენდნენ და არჩევდნენ 7-8 ცენტნერზე მეტ ჭარხალს.

ენტუზიაზმით დაწყებული მუშაობა დღესაც დიდი წარმატებით გრძელდება ქახვრელის კოლმეურნეობაში. ამ რამდენიმე დღის წინათ კოლმეურნეებმა დიდი სიხარულით და ზეიმით გააცილეს უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე დასასწრებლად საამაყო ადამიანი, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატი ნატალია სადალაშვილი.

— ახალი სასახელო გამარჯვებებით, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით, დამკვრელთა და სტახანოველთა რიგების ზრდით ეგებება ეს კოლმეურნეობა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მოწვევის დღეს.

სოფ. ქახვრელის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში აზვირთდა სოცშეჯიბრების მძლავრი ტალღა.

კოლმეურნეობის წევრებმა იკისრეს თესლის გაწმენდა დაამთავრონ 15 იანვრისათვის, 60 ჰექტარზე დროულად დასთესონ ჯიშიანი სიმინდი; შემოდგომისა და გაზაფხულის ნათესები ადრე გაზაფხულზე დააზიგზაგონ, საჭარხლე ფართობებში დროულად შეიტანონ მინერალური და ორგანული სასუქი და მოცემულ ვადაზე ადრე დაამთავრონ ჭარხლის თესვა, 20 იანვრამდე მოათავონ სასოფლო-სამეურნეო იარაღმანქანების შეკეთება.

ნაკისრი ვალდებულებები ქაღალდზე როდი დარჩენილა. სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის გახსნის დღეს სოფ. ქახვრელის კოლმეურნეობა მთელი რიგი წარმატებებით ხვდება. საჭარხლე ნაკვეთებში უკვე დაამთავრეს მინერალური სასუქის შეტანა. შეგროვილია საჭირო რაოდენობის თესლი, თითქმის 80 პროცენტი გაწმენდილია კიდეც. კოლმეურნეობაში საუკეთესოდ ჰკვებავენ და უვლიან მუშა-პირუტყვს. აქტიურად მუშაობენ სას.-სამ. იარაღ-მანქანების შეკეთებაზე.

— ჩვენი სოფელი უზენაესი საბჭოს დეპუტატის სამშობლოა, და ეს გვავალებს კიდევ უფრო მეტი თავგამოდებით ვიბრძოლოთ ახალ-ახალი წარმატებებისათვის, საუკეთესოდ მოვემზადოთ თესვისათვის, ბრწყინვალე მიღწევებით ვასახელოთ ჩვენი კოლმეურნეობა, ჩვენი სახელოვანი დეპუტატი,—ამაყად აცხადებენ ქახვრელი კოლმეურნენი.

**ალ. გვინჩიძე.**

## ქვეყანა რკინიგზელებისაგან მოითხოვს უმოკლეს ვადაში გააუმჯობესონ მუშაობა!

სსრ კავშირი მძლავრი სარკინიგზო სახელმწიფოა. ჩვენს ქვეყანაში თითქმის 90 ათას კილომეტრზეა გადაჭიმული რკინიგზის ლიანდაგი. ამ გიგანტური კონვეიერის მუშაობა მტკიცე გეგმას მოითხოვს. მეურნეობის არცერთ დარგში არ არის ორგანიზმის ცალკე ნაწილების ისეთი ზუსტი ურთიერთმოქმედება, როგორც რკინიგზის ტრანსპორტზე. საკმარისია სარკინიგზო მეურნეობის რომელიმე დარგი ამოვარდეს გეგმიდან, და ეს დაუყოვნებლივ დაემჩნევა მთელი ტრანსპორტის მუშაობას.

უკანასკნელ დროს რკინიგზებმა მკვეთრად გააუარესეს მუშაობა. დატვირთვის გეგმა ყოველდღე არ სრულდება 25—30 პროცენტით, მაშინ როდესაც ჩვენი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა თავიანთი განუხრელი განვითარების მთელი მსვლელობით ტვირთბრუნვის განუწყვეტელ გაძლიერებას მოითხოვენ. რკინიგზის ტრანსპორტის ცუდი მუშაობა მუხრუჭია მთელი სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი განუხრელი ზრდისათვის.

რაშია საქმე? ტრანსპორტმა რათ გააუარესა თავისი მუშაობა? რკინიგზის ტრანსპორტის მატერიალური ნაწილი პარტიის სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობით საფუძვლიანად განმტკიცებულია. გადიდებულია ორთქლმავლებისა და ვაგონების რაოდენობა, გაუმჯობესებულია სალიანდაგო მეურნეობა, გაყვანილია ახალი გზები და შტოები. განადგურებულია ბუდეები ტროცკისტ-ბუხარინელი ჯაშუშებისა და დივერსანტებისა, რომლებიც აფერხებდნენ რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობას. გზათა სახალხო კომისარიატის აპარატში და გზებზე მოვიდნენ ახალი ადამიანები — პატიოსანი და ენერგიული მუშაკები, რომლებიც ქვედაფენებიდან გაიზარდნენ, რომლებიც პარტიისა და ხალხის ერთგულნი არიან. მაშასადამე, რკინიგზის ტრანსპორტს აქვს აუცილებელი პირობები იმისათვის, რომ იმუშაოს კარგად, რომ მთლიანად შეასრულოს გეგმა. რკინიგზელებმა ვერ შესძლეს გამოეყენებინათ მათთვის შექმნილი პირობები მუშაობისა და აღმავლობისა, ისინი თვითდინებას დაეყრდნენ. რა თქმა უნდა, ტრანსპორტი ამჟამად განიცდის სიძნელეებს იმიტომაც, რომ ზამთარში უფრო ძნელია მუშაობა, მაგრამ მუშაობის ისოდენ მკვეთრი გაუარესება არაფრით და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამართლებულ იქნას.

რკინიგზელები უნდა წითლდებოდნენ იმის გამო, რომ ბრუნვის 200 საათიდან ვაგონი მხოლოდ 32 საათს არის მოძრაობაში. დანარჩენი დრო ხმარდება უნაყოფოდ დგომას დამხარისხებელ სადგურებზე, დატვირთვასა და გადმოტვირთვას.

რა არის ასეთი დიდი გაცდენების მიზეზი? **ცუდად არის მოწყობილი მუშაობა გადამწყვეტ კვანძებზე, ცუდად არის მოწყობილი სადღელამისო დატვირთვა.**

მთელ ჩვენს სარკინიგზო ქსელში ვვაქვს 60-70 დიდი სადგური, რომელთა მუშაობაზე ძირითადად დამოკიდებულია მთელი რკინიგზის ტრანსპორტის გეგმის შესრულება. მაშასადამე, ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მთელი ძალღონე მივმართოთ იქითკენ, სადაც სწყდება დატვირთვის წარმატება.

საკმარისია ყურადღებით დავაკვირდეთ რომელიმე ჩამორჩენილი სარკინიგზო კვანძის მუშაობას, და ჩვენ დავინახავთ სულ ჩვეულებრივ, მარტივ მიზეზებს, რომლებიც აფერხებენ სადგურის მუშაობას: მატარებელი ცუდად შეადგინეს, ლიანდაგზე თოვლი არ გაწმინდეს, დისპეტჩერმა დროზე არ მისცა მოძრაობის გეგმა, მეზობელმა სადგურმა არ აცნობა მატარებლების მისვლა, შემდგენლები მოუქნელად მუშაობენ, დროზე არ მისცეს ორთქლმავალი, ორთქლმავალი მისცეს — გამგზავრება დააგვიანეს, მეზობელი განყოფილების უფროსმა დააგვიანა შემადგენლობის მიღება.

ყველა ეს მარტივი მიზეზი გამოწვეულია **ცუდი დისციპლინით, მოუქნელობითა და დაუდევრობით.**

საორთქლმავლო მეურნეობა — რკინიგზის ტრანსპორტის საფუძველი—გასულ წლებთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესებულია. მაგრამ გზებზე არის ერთგვარი რაოდენობა დეპოებისა, რომლებიც დღემდის ცუდად მუშაობენ. ორთქლმავლების წესრიგში მოუყვანლობა ან მემანქანეების სუსტი კვალიფიკაცია იწვევენ მატარებლების გაწყვეტას გზაში, იძულებით გაჩერებებს, მოძრაობის შეფერხებას. მაშასადამე, ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ყურადღება მიმართულ იქნას ჩამორჩენილი დეპოებისაკენ, გადაჭრით და უმოკლეს ვადაში გაუმჯობესდეს მათი მუშაობა და ამით თავიდან იქნას აცილებული რკინიგზის ტრანსპორტის ჩამორჩენის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი. **დეპოების მუშაობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში დიდი როლი უნდა მიეკუთვნოს დეპოების პარტიულ ორგანიზაციებს, რომლებიც მოვალენი არიან ყოველმხრივ დაეხმარონ სამეურნეო მუშაკებს.**

საქმე ახლა მარტო ადამიანებზეა, საქმე თვით რკინიგზელებზეა! ტრანსპორტზე, როგორც სახალხო მეურნეობის სხვა დარგებშიც, არიან საუკეთესო სტახანოველები, თავისი საქმის საუცხოო ოსტატები, რომლებმაც მთელ ქვეყანაში გაითქვეს სახელი გმირული მუშაობით. საკმარისია გავიხსენოთ კრივონოსის, ოგნევის, ეპცოვის, კატშენის და მრავალი სხვა განთქმული რკინიგზელის სახელები. რკინიგზელთა დიდი არმიის ათიათასობით მამაცმა მებრძოლებმა საქმით გვიჩვენეს თავიანთი მაღალი შეგნება, თავიანთი მაღალი ცოდნა და მზადყოფნა მთელი თავისი ძალები სამშობლოს კეთილდღეობისათვის მუშაობას მოანდომონ. მაგრამ, სამწუხაროდ, არ შეიძლება ითქვას, რომ ტრანსპორტზე ჩვენ გვაქვს ნამდვილად მასობრივი სტახანოვური მოძრაობა. თუ ტრანსპორტი ჩამორჩენილია, თუ ჯერ კიდევ დიდია გაცდენები, თუ არ სრულდება დატვირთვის სახელმწიფო გეგმა, მაშასადამე, არ შეიძლება ვილაპარაკოთ მასობრივი სტახანოვური მოძრაობის შესახებ ტრანსპორტზე, ვინაიდან ეს იქნებოდა ოპტიმიზმი, რომელსაც ვერაფრით გავამართლებდით. **ამოცანა ამჟამად სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ავამოძრაოთ რკინიგზელთა მთელი არმია, გავაძლიეროთ და განვავითაროთ სტახანოვური მოძრაობა, რკინიგზის ტრანსპორტის საუკეთესო ადამიანები თავრაზმოთ სახელმწიფო გეგმის შესრულების გარშემო.** ტრანსპორტზე არ არიან დიდი და პატარა, პასუხისმგებელი და უპასუხისმგებლო მუშაკები. თვითეულ რკინიგზელს — მეისრიდან გზის უფროსამდე—შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ იგი დგას საბრძოლო პოსტზე, რომ სახელმწიფომ მას მიანდო უმნიშვნელოვანესი საქმე და რომ მისი ვალია იმუშაოს პატიოსნად, ერთგულად, შეუსვენებლივ! კარგად მუშაობა საჭიროა წლის ყველა დროს, არა მარტო ზაფხულში, არამედ ზამთარშიც.

ტრანსპორტის აღმავლობისათვის თავიანთი მრავალწლოვანი, შეუპოვარი და გმირული ბრძოლის პროცესში რკინიგზელებმა დაიგროვეს საუცხოო საორგანიზაციო და პოლიტიკური გამოცდილება, რომელიც ახლანდელ დღეებშიც ყოველმხრივ უნდა იქნას გამოყენებული. საჭიროა დაუყოვნებლივ, ერთი დღის დაუკარგავად, გადამწყვეტ სადგურებზე და ჩამორჩენილ დეპოებში საუკეთესო ადამიანების თავმოყრა, მათთან ერთად გამომჟღავნება ჩამორჩენის კონკრეტული მიზეზებისა, მათთან ერთად დასახვა მოქმედების გეგმისა და გაბედულად და გადაჭრით გაჩაღება ბრძოლისა დისციპლინისათვის, რკინიგზის ტრანსპორტის ახალი აღმავლობისათვის.

ტრანსპორტი არმიაა, რომელიც მუდამ საბრძოლო მოქმედებაში იმყოფება. ისევე როგორც არმიაში, ტრანსპორტზე უდიდეს როლს თამაშობს მართვა-გამგებლობისა და მეთაურობის ხარისხი. მართვა-გამგებლობა — ეს არის შეერთება დარწმუნებისა, სწავლებისა, განკარგულებისა და იძულებისა. ამავე დროს რკინიგზელთა არმიის ზოგიერთმა მეთაურმა დღემდის ჯერ კიდევ ვერ იგრძნო თავი ნამდვილ, მტკიცე ხელმძღვანელად. ეს შეეხება გზათა სახალხო კომისარიატის აპარატსაც და გზების აპარატსაც. რკინიგზელთა არმიის მეთაურთა შემადგენლობა განახლდა, მოვიდნენ ახალი ადამიანები, მაგრამ მათ ნაწილს ჯერ კიდევ არა აქვს ხელმძღვანელი მუშაობის გამოცდილება, არ იცის, თუ როგორ უნდა მეთაურობა. საჭიროა მართვა-გამგებლობის სწავლა!

ტრანსპორტზე მეთაურებად ახალი ადამიანები მოვიდნენ. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ სამუდამოდ მოიღო ბოლო დახავსებულ სარკინიგზო ტრადიციებს. ერთ-ერთი ასეთი ტრადიცია — გეგმის შეუსრულებლობის გადაბრალება მეზობლისათვის, ცუდი მუშაობის მიზეზის არა თავისთან, არამედ სხვებთან ძებნა, — დღემდის კიდევ ცოცხლობს ტრანსპორტზე.

დახავსებული სარკინიგზო ტრადიციების საბოლოოდ აღმოფხვრაში სწრაფი წარმატების ერთ-ერთი პირობა.

რკინიგზის ტრანსპორტზე პოლიტგანყოფილებათა წინაშე უდიდესი ამოცანები დგას. პოლიტგანყოფილებებმა არ უნდა გასწიონ სამეურნეო ხელმძღვანელთა მაგიერობა და არ დაჩრდილონ ისინი, და ამავე დროს დაუყოვნებლივ უნდა გაშალონ პოლიტიკური მუშაობა რკინიგზელთა შორის, მისცენ პოლიტიკური მიზანდასახულობა რკინიგზელთა მასების მხურვალე მისწრაფებას — იბრძოლონ ტრანსპორტის აღმავლობისათვის, გეგმისათვის.

რკინიგზელებს უნდა დაეხმარონ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებიც, ვინაიდან ამჟამად ყველას ერთი ამოცანა აქვს — უზრუნველჰყონ რკინიგზის ტრანსპორტის გადამწყვეტი და დაუყოვნებლივი აღმავლობა. ყველა ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციის ამოცანაა — კი არ გაემიჯნოს რკინიგზის ტრანსპორტს, არამედ ყოველმხრივ დაეხმაროს მას. კლიენტურამაც ახლა უნდა მოახდინოს თავისი ძალების მობილიზაცია და ზუსტად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებანი, რათა ტრანსპორტს არ შეუქმნას დამატებითი სიძნელენი.

მუშაობა დიდი მოგვლის, შევუდგეთ მუშაობას, არ დავკარგოთ არცერთი დღე და არცერთი საათი!

ჩვენი ქვეყანა გამოსთქვამს რწმენას, რომ რკინიგზელები, იმუშავებენ რა ისე, როგორც ამას პარტიის სტალინური ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა მოითხოვენ, სულ მცირე ხანში დაიბრუნებენ სახელოვან პოზიციებს, რომლებიც მათ ამ ცოტახნის წინათ ეჭირათ, და გასწევენ წინ, ახალი გამარჯვებებისაკენ!

**„პრავდის" მოწინავე 11/I**

## თამბაქოს ფაბრიკების მუშათა ხმა

გუშინ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის გახსნასთან დაკავშირებით თბილისის თამბაქოს ფაბრიკებში გამართულ მიტინგებს 950-ზე მეტი მუშა დაესწრო.

თამბაქოს მუშათა კოლექტივმა დიდი ინტერესით მოისმინა ინფორმაცია უზენაესი საბჭოს სესიის გახსნის შესახებ.

მიტინგზე სიტყვით გამოსულმა ფაბრიკის მეორე კორპუსის ხარატმა ამხ. ივ. აგლოძემ განაცხადა: „უზენაესი საბჭოს დეპუტატებად ავირჩიეთ ჩვენი ბედნიერი ქვეყნის საუკეთესო შვილები, რომლებიც დიდი ბელადის, ამხანაგ სტალინის მეთაურობით წაგვიძღვებიან წინ ახალ-ახალი გამარჯვებების მოსაპოვებლად. პირობას ვიძლევით — ისე როგორც შარშან, წელსაც დიდი გადაჭარბებით და ვადამდე შევასრულოთ აღებული ვალდებულებანი.

— 12 იანვარი, — განაცხადა ფაბრიკის მექანიკოსმა ნებატოვმა, — არასოდეს არ ამოიშლება ჩვენი მეხსიერებიდან და ასეთ ისტორიულ დღეებს ჩვენ, მუშები, შრომის კიდევ უფრო მეტი ნაყოფიერებით შევხვდებით.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე სტახანოველები — ვ. როსტომაშვილი, სონა კაკალოვა, ვ. ავაქოვა, არ. ოშმიანი, შტეინბერგი, ვ. აპრესოვი და სხვები, რომლებმაც სესიის გახსნასთან დაკავშირებით კონკრეტული ვალდებულებები იკისრეს.

თამბაქოს ფაბრიკების მუშათა მთელი კოლექტივი ერთსულოვნად მიესალმება უზენაესი საბჭოს პირველ სესიას.

### საგაზაფხულო თესვისათვის მზადება

# სათავეში ჩავუდგეთ სოციალისტური შეჯიბრების აღმავლობას სოფლად

## გავშალოთ მტს-ების შეჯიბრება ტრაქტორების ვადაზე ადრე და მაღალხარისხოვნად შეკეთებისათვის

**აბაშის მტს-ის ტრაქტორისტთა, მუშათა და მოსამსახურეთა მიმართვა საქართველოს ყველა მტს-ებში**

[illegible] მთელი ჩვენი ყურადღება უნდა მივაპყროთ ტრაქტორების რემონტის თავის დროზე და მაღალხარისხოვნად დამთავრებას. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა ტრაქტორი დროულად გავიდეს მინდვრად, იმუშაოს კარგად და შეუფერხებლად. ეს არის მტს-ის თვითეული მუშაკის წმინდათაწმინდა მოვალეობა. ამას მაშინ შევძლებთ, თუ რემონტი შესრულდება მხოლოდ „კარგზე“ და „ფრიადზე“.

წელს მტს-მა უნდა შეაკეთოს 23 ტრაქტორი. 10 იანვრისათვის ჩვენ გამოვუშვით რემონტიდან 6 ტრაქტორი. ვკისრულობთ რემონტი დავამთავროთ 25 იანვრამდე განსაკუთრებით მაღალი ხარისხით. ჩვენს მტს-ს არ ჰყოფნის ნაწილები 7 ტრაქტორისათვის, მაგრამ უკვე მიღებული გვაქვს ზომები მათს შესაძენად. ფართოდ გამოვიყენებთ შინაგან რესურსებს.

ჩვენ გვყავს მოწინავე ადამიანები, რომლებიც სტახანოვურად მუშაობენ. ტრაქტორისტმა მიქაძემ უკვე გამოუშვა რემონტიდან თავისი ტრაქტორი, ტრაქტორისტმა კონჯარიამ დაამთავრა რემონტი და ეხმარება სხვებს. ტრაქტორისტები ქუნთელია, მამანტი და კოლია შუბლაძეები, სერგო და კირილე კაჭარავეები და სხვები ვადაზე ადრე ამთავრებენ თავიანთი ტრაქტორების რემონტს.

განსაკუთრებით მკაცრად ვიცავთ რემონტის ხარისხს. ყველა ჩვენს მიერ შეკეთებული ტრაქტორი კომისიის მიერ მიღებულია და ცნობილია კარგად.

რემონტზე მომუშავე ბრიგადებსა და ბრიგადების წევრთა შორის გაშლილია სოცშეჯიბრება, რაც უზრუნველჰყოფს რემონტის თავის დროზე დამთავრებას.

ტრაქტორების რემონტთან ერთად ვკისრულობთ ვალდებულებას დავეხმაროთ კოლმეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეკეთებაში. კოლმეურნეობების სამჭედლოებს მივაწვდით აგრეთვე ნახშირსა და რკინას.

ფართოდ გამოვიყენებთ შინაგან რესურსებს.

ორდენოსანი საქართველოს კოლმეურნეობებმა ბრწყინვალე წარმატებანი მოიპოვეს. დიდად გაიზარდა საკოლმეურნეო მინდვრების მოსავალი და კოლმეურნეთა შემოსავალი. მაგრამ ეს ზღვარი როდია. წელს ისეთი მოსავალი უნდა მივიღოთ, რომელიც არ ახსოვს ჩვენს ქვეყანას.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-მა აღნიშნეს საგაზაფხულო თესვისათვის მზადებისა და, კერძოდ, ტრაქტორების რემონტის არადამაკმაყოფილებელი მიმდინარეობა. ამას ჩვენშიაც აქვს ადგილი, მაგრამ ვკისრულობთ სასწრაფოდ გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი.

ჩვენ მოვუწოდებთ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ყველა მუშას სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის საფუძველზე მოახდინონ ჩამორჩენის ლიკვიდაცია, ვადაზე ადრე და მაღალხარისხოვნად დაამთავრონ ტრაქტორების რემონტი.

დღეს იხსნება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველი სესია. ჩვენი დიადი სამშობლოს ცხოვრების ეს ისტორიული დღე უნდა აღვნიშნოთ საგაზაფხულო თესვისათვის მზადების გაძლიერებით და სატრაქტორო პარკის სრულ წესრიგში მოყვანით.

გაუმარჯოს ჩვენს ბელადს, მასწავლებელს და მეგობარს, დიდ სტალინს!

გაუმარჯოს ქართველი ხალხის მებრძოლ ხელმძღვანელს, ამხანაგ ლ. ბერიას!

გაუმარჯოს საქართველოს კოლმეურნეობებს, რომელნიც მტკიცედ დაადგნენ შეძლებული და ბედნიერი ცხოვრების გზას.

**მიმართვა მიღებულია აბაშის მტს-ის მუშათა, ტრაქტორისტთა, აგრონომთა და მოსამსახურეთა საერთო კრებაზე ა. წ. 10 იანვარს.**

## თელავში არ ჩქარობენ

**(ტელეგრაფით „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)**

საგაზაფხულო თესვისათვის მზადების გადამწყვეტი დღეები დადგა. მზადების კარგად მოწყობა უხვი მოსავლის საწინდარია. თელავის რაიონში ჯერჯერობით ამას არ ითვალისწინებენ.

თესლის ხარისხისა და აღმოცენების უნარის შემოწმება ნელი ტემპით მიმდინარეობს. თესლის კონტროლის ლაბორატორიაში რაიონის 128 კოლმეურნეობიდან ნიმუში წარმოადგინა 65 კოლმეურნეობამ. წარმოდგენილი 170 ნიმუშიდან გაღივებაზე შემოწმებულია 104 ნიმუში, ახლად დადგმულია 96 ნიმუში.

საკონტროლო შემოწმებით გამოირკვა, რომ ალვანის შინსახკომისა და ტელმანის სახელობის კოლმეურნეობებში გამოყოფილი 226 ცენტნერი ქერიდან დანაგვიანებულია 81 ცენტნერი, უვარგისია აგრეთვე 30 ცენტნერი სათესლე ხორბალი.

მიწგანში არავითარი ცნობა არ მოეპოვებათ, თუ როგორ მიმდინარეობს რაიონის კოლმეურნეობებში თესლის გაწმენდა — ალბათ მიმდინარეობსო, — აცხადებენ მიწგანში. შემოწმებამ სულ სხვა რამ დაგვანახვა. რუისისა და ჯოყოლოს სოფლის საბჭოების 16 კოლმეურნეობაში სათესლე მასალის ვარგისიანობის შემოწმებას არავითარი ყურადღება არ ექცევა. უბნის აგრონომი ბაბილაშვილი ამ საქმეს არ ხელმძღვანელობს. იმ 16 კოლმეურნეობიდან, რომლებსაც ის უწევს მომსახურებას, თესლის კონტროლის ლაბორატორიაში ნიმუში წარმოდგენილი აქვს ხუთს. ეს მაშინ, როცა ჯოყოლოში შესამოწმებელია 338 ცენტნერი სიმინდის თესლი, 19 ცენტნერი სათესლე ფეტვი, რუისში — 26 ცენტნერი ფეტვი და 290 ცენტნერი სიმინდი.

თესლის კონტროლის ლაბორატორიაში ჯერ ნიმუში არ წარმოუდგენიათ ზემო და ქვემო კუწახტის, ძიბახევის, ბირკიანისა და ჯოყოლოს კოლმეურნეობებს.

რას იტყვიან ამ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები — გორელაშვილი, ვალიშვილი, ცხადაძე და ლობინაური? სათესლე მასალის ნიმუშები წარმოუდგენელია აგრეთვე კურდღელაურის კოლმეურნეობებიდან. ეს სულაც არ აშფოთებს უბნის აგრონომ ბრეგვაძეს.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს გლეხური ინვენტარის რემონტი, 400 გუთნიდან შეკეთებულია 255, 300 ფარცხიდან—180 და 50 ტრიერიდან მხოლოდ 10.

საგაზაფხულო თესვისათვის მზადებას ბოლშევიკური ხელმძღვანელობა ესაჭიროება. რაიმიწგანმა და მტს-მა უნდა უზრუნველჰყონ ეს.

**ს. ყურაშვილი**



თბილისის ფეხსაცმლის 1-ლი ფაბრიკის საუკეთესო სტახანოველი, რაისაბჭოს წევრი ამხ. მარიამ შავერდოვა, რომელიც ქუსლის საფრეზერო ჩარხზე დღიურ დავალებას 166 პროცენტით ასრულებს და საუკეთესო მუშაობისათვის მრავალჯერ დაჯილდოვებულია.

ფოტო შძელიოვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

## რატომ ჩამორჩა სტალინირის მტს-ი

**(სტალინირი, „კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან)**

საგაზაფხულო თესვის დაწყებამდე ცოტა დრო დარჩა, მაგრამ სტალინირის მტს-ს, რომელიც მომსახურებას უწევს სამხრეთ-ოსეთის 39 კოლმეურნეობას, ტრაქტორებისა და სხვა იარაღ-მანქანების შეკეთებაში საჭირო ტემპები არ აქვს. მტს-ში შექმნილია ისეთი მდგომარეობა, რომელიც აშკარა ჩაშლის საფრთხეში აყენებს როგორც რემონტის, ისე სხვა მიმდინარე სამუშაოთა ჯეროვანი ხარისხითა და ვადაზე შესრულებას.

როგორც სჩანს სტალინირის მტს-ს არ შეუსრულებია ტრაქტორების შეკეთების გასული წლის მეოთხე კვარტალის გეგმა. მან შეუკეთებელი დასტოვა საშუალო რემონტის 5 ტრაქტორი, 3 გუთანი, ხოლო კაპიტალურად ვითომდა შეკეთებული „ჩტზ“ მარკის ერთი ტრაქტორი ახლა ხელახლა შესაკეთებელია და სახელოსნოში დგას.

დამახასიათებელია, რომ უკვე შეკეთებული ტრაქტორებიც დღემდე არცერთი არ არის სათანადოდ შემოწმებული და აქტებით მიღებულ-გაფორმებული.

ამ მდგომარეობისათვის სტალინირის მტს-ის ახალ ხელმძღვანელობას დაუყოვნებლივ უნდა მიექცია სათანადო ყურადღება, ზუსტად შეემოწმებინა მტს-ის სახელოსნოს ყველა სუსტი მხარე და გადაუდებელ პრაქტიკულ ღონისძიებათა ურყევად გატარებით საქმე გამოესწორებინა. სამწუხაროდ აქ ასე არ მოხდა—თვითდინება, გაუპიროვნება, უპასუხისმგებლობა, კონტროლისა და დახმარების გაუწევლობა დღესაც გრძელდება.

აღსანიშნავია, რომ თვით სახელოსნოს გამგის მ. ჭოველიძის განცხადებით, აქ ზუსტად არც კი იციან, თუ რამდენი ტრაქტორი უნდა იქნას კაპიტალურად შეკეთებული,—ახლა ტრაქტორებს ვშლით, — აცხადებს სახელოსნოს გამგე, — და რომელი ჩავარდება კაპიტალურში, ამას შემოწმება გვიჩვენებსო. ნამდვილად ჯერ კიდევ რემონტის დაწყებამდე უნდა გამოერკვიათ და განესაზღვრათ ზუსტად როგორც კაპიტალური, ისე საშუალო და მიმდინარე რემონტის ყველა სამუშაო, დაემუშავებინათ ეს საერთო საწარმოო თათბირზე, გაეშალათ სოციალისტური შეჯიბრება, მიეღოთ ზომები სათადარიგო ნაწილების შესაძენად და სხვ. მიუხედავად ამისა, რემონტის გეგმისა და მისი შესრულებისათვის ბრძოლის საკითხი სტალინირის მტს-ის სახელოსნოს მუშაკთა შორის დღემდე არც კი დასმულა. აქ 7 ბრიგადიდან (აქედან ერთი სას.-სამ. იარაღების შემკეთებელია) 10 იანვრისათვის არცერთი ბრიგადა, არცერთი მუშაკი არ იყო ჩაბმული სოციალისტურ შეჯიბრებაში. მეოთხე ბრიგადაში, სადაც ერთი ტრაქტორი ცუდი შეკეთების გამო ისევ სახელოსნოში დააბრუნეს, 10 იანვარს ჯერ კიდევ გამოურკვეველი იყო, თუ ვინ ითვლებოდა ბრიგადირად — მასკალეკინი თუ ბერუაშვილი.

სტალინირის მტს-ი ვალდებულია თავისი პარკიდან, გარდა იმ ტრაქტორებისა, რომლებსაც კაპიტალური რემონტი ესაჭიროება (მათი რიცხვი 12-ს აღწევს), საგაზაფხულო თესვისათვის შეაკეთოს საშუალო რემონტის 16 ტრაქტორი, მიმდინარესი—1, სათესი მანქანა—11, გუთანი — 26 და უზრუნველჰყოს კოლმეურნეობებში 14 ტრაქტორის, აგრეთვე ტრიერებისა და გუთნების შეკეთება, რაც რიცხობრივად ზუსტად აქ, მტს-ში გამოურკვეველია. ამავე დროს, მტს-ს ახლაც არა აქვს რემონტისათვის აუცილებლად საჭირო სხვადასხვა ნაწილები და მასალა — მარტო გუთნებისა და ტრაქტორებისათვის 60-მდე სახელწოდებისა, ხელსაწყო-იარაღების 40-მდე სახელწოდებისა. მათ შესაძენად მტს-ს აქამდე არ მიუღია გადამჭრელი ზომები.

როგორ დგას კადრების საკითხი, როგორია მუშაობის პირობები? სტალინირის მტს-ის სახელოსნოს უფროსი მექანიკოსი ადგილზე მხოლოდ 3 იანვარს გამოცხადდა, მაგრამ, ვინაიდან საქმე ოფიციალურად არ ჩაუბარებია, მუშაობას დღემდე თითქმის არც შესდგომია. გარდა ამისა, სახელოსნოს სრულიად არა ჰყავს სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების მექანიკოსი. გამოუყენებელი არიან აგრეთვე სახელოსნოს მთელი რიგი მუშაკები, რომლებსაც საქმისათვის დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ, მაგალითად, მესამე ბრიგადაში (ბრიგადირი კოს. ბიგულაევი), სადაც 4 ტრაქტორი უნდა შეაკეთონ, ახლა მხოლოდ 4 კაცი მუშაობს, დანარჩენი 4 სახლში ისვენებს. ამავე დროს, ბრიგადები სწორად არ არის დაკომპლექტებული, თითქმის არცერთმა ტრაქტორისტმა არ იცის ზუსტად, თუ როდის უნდა დაამთავროს რემონტი. არა აქვთ რემონტიდან ტრაქტორების გამოსვლის ზუსტი გრაფიკი. სახელოსნოს მუშაკებისათვის დიდიხანია საწყობში უწყვიათ შესაფერი თბილი ტანსაცმელი, მაგრამ მტს-ის დირექციას მათი დარიგებაც ვერ მოუხერხებია.

მტს-ის ადმინისტრაციას აქამდე ვერ მოუგვარებია რემონტზე მომუშავეებისათვის ცხელი ჩაის მიწოდება, საცხოვრებლებში ნორმალური განათება და გათბობა, სისუფთავის დაცვა, კულტმომსახურება.

ყველა ამ ნაკლს ისიც ემატება, რომ მტს-ს მოუწესრიგებელი აქვს ნავთის ბაზა—არა აქვს საწვავ-საცხები მასალის უზრუნველყოფილი მარაგი, შეუკეთებელი აქვს ტარა, ამავე დროს, ყველა ტრაქტორი არაა უზრუნველყოფილი ვედროთი, ძაბრითა და სხვ.

სტალინირის მტს-ს ჯერ კიდევ არ გაუშლია მუშაობა საგაზაფხულო თესვის მოსამზადებლად. მტს-ს მხედველობიდან გამორჩა, რომ „კადრები სწყვეტენ ყველაფერს“, რომ სარემონტო სახელოსნოში ბოლშევიკური წესრიგის დამყარება, პასუხისმგებლობის გაძლიერება, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლა, სტახანოვური მუშაობა გადამწყვეტია საგაზაფხულო თესვის სანიმუშოდ ჩატარებისათვის.

**ტრ. თოდრაძე**

## ჩვენი კოლმეურნეობის წარმატებანი

სტალინურმა კონსტიტუციამ, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებმა და უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მოწვევის დღის დანიშვნამ უდიდესი ენტუზიაზმი და სიხარული გამოიწვია ჩვენს კოლმეურნეობაში. გაძლიერდა კლასობრივი სიფხიზლე, ბრიგადებსა და ცალკეულ კოლმეურნეთა შორის გაიშალა სოცშეჯიბრება, კიდევ უფრო განმტკიცდა შრომის დისციპლინა და მოწესრიგდა შრომა.

სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების მტკიცედ დაცვით და ამხანაგ ლ. ბერიას მითითებათა ურყევად გატარებით, ჩვენ წარმატებით დავამთავრეთ 1937 წელი და ახალი მიღწევებით შევხვდით მესამე ხუთწლედს.

1932 წელს, პირველი ხუთწლედის დასასრულს, ჩვენი კოლმეურნეობის საერთო შემოსავალი 94.895 მანეთს უდრიდა. მაშინ შრომადღეზე აქაურ კოლმეურნეებს ფულად მხოლოდ 84 კაპიკი ერგოთ. გვეთესა 90 ჰექტარი ჩაი, საიდანაც 13.000 კილოგრამი მწვანე ფოთოლი მივიღეთ, ე. ი. 7.000 კილოგრამით იმაზე ნაკლები, რაც შარშან თავის ფართობზე მარტო აკაკი შავიშვილის ბრიგადამ მოიყვანა.

ახლა ჩვენს კოლმეურნეობას 240 ჰექტარი ჩაი აქვს გაშენებული. 1937 წელს 141.000 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მოვკრიფეთ და ჩავაბარეთ სახელმწიფოს, რაც თითქმის 11-ჯერ აღემატება 1932 წლის რაოდენობას. ჩაის ხარისხობრივი მაჩვენებლების გადაჭარბებისათვის შარშან ჩვენმა კოლმეურნეობამ 13.600 მანეთი მარტო ჯილდო-წანამატი მიიღო, ხოლო კოლმეურნეობის საერთო შემოსავალმა 729.900 მანეთს გადააჭარბა.

ჩაისთან ერთად გაიზარდა სხვა კულტურების მოსავლიანობაც. 1932 წელს ჰექტარი სიმინდის ნათესიდან მივიღეთ საშუალოდ 6 ცენტნერი მოსავალი, შარშან კი 14 ცენტნერი. ოთხიოდე წლის წინათ გაშენებულმა მანდარინის პლანტაციებმა პირველი მოსავალი შარშან მოგვცა. მანდარინის მთლიანი მოსავალი სახელმწიფოს ჩავაბარეთ, რაზედაც 10.000 მანეთი გვერგო.

უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში შრომადღის ანაზღაურება ცხრაჯერ და კიდევ მეტად გაიზარდა. სოფელში მოისპო უძროხობა.

კოლმეურნეობაში სულ 340 კომლია გაერთიანებული, აქედან მხოლოდ ოციოდე კომლია დარჩენილი, რომლებსაც ოდა-სახლი არა აქვთ, მაგრამ მათაც შეძენილი აქვთ ხე-ტყის მასალა და მალე ისინიც აიშენებენ ოდებს. საკოლმეურნეო შემოსავლით სოფლის თითქმის ნახევარმა აიშენა ახალი სახლები, გააფართოვა და გადააკეთა ძველები.

გვაქვს საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგური. ახლა 54 კომლს აქვს ელექტროგანათება. ამ წლის ბოლოს კი ელექტრონი ყველა კოლმეურნის სახლს გაანათებს. 65 კომლს დადგმული აქვს რადიომიმღები. კოლმეურნეობაში არა გვყავს წერა-კითხვის არცერთი უცოდინარი, ვრცელდება 490 ცალი გაზეთი და ჟურნალი. კოლმეურნეები ჟურნალ-გაზეთების საშუალებით ეცნობიან და თვალყურს ადევნებენ ქვეყნის ამბებს.

კოლმეურნეობაში ახლა ორმოცზე მეტი სტახანოველია, რომლებიც საფუძვლიანად იცნობენ თავიანთ საქმეს და დიდი გადაჭარბებით ასრულებენ გამომუშავების ნორმებს. სტახანოველმა კოლმეურნეებმა გიორგი თოიძემ, ქრისტინე გორდელაძემ, სერგო გოგოძემ და სხვებმა შარშან, წლის განმავლობაში 340—400 შრომადღე გამოიმუშავეს და კოლმეურნეობიდან მაღალი შემოსავალი მიიღეს.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მოწვევასთან დაკავშირებით ჩვენ გავაძლიერეთ საგაზაფხულო თესვისათვის მზადება. ვადაზე დავამთავრეთ ჩაის პლანტაციების საზამთრო მსუბუქი გადაბარვა, პლანტაციებში შევიტანეთ ფოსფოროვანი სასუქები, გავიყვანეთ ახალი სადრენაჟო არხები და შევაკეთეთ ძველი. სიმჩხერესთან ბრძოლის მიზნით ჩავატარეთ პლანტაციების რემონტი, შევუდექით იარაღ-მანქანებისა და საკოლმეურნეო ინვენტარების რემონტს, სუსტი მუშაპირუტყვი გაძლიერებულ კვებაზე გადაგვყავს, ვწმენდთ და ვახარისხებთ სათესლე მასალას.

საგაზაფხულო თესვისათვის მზადების წარმატებით ჩატარებაზე ბრიგადა ბრიგადას ეჯიბრება, კოლმეურნე-კოლმეურნეს. ჩვენ ახლა ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ მიმდინარე წელს მივიღოთ და სახელმწიფოს ჩავაბაროთ სულ ცოტა 200.000 კილოგრამი ჩაის მაღალხარისხოვანი ფოთოლი, ისე გავადიდოთ სიმინდის, ლობიოს, სოიას და სხვა კულტურების მოსავლიანობა, რომ მოვიპოვოთ საკავშირო სას.-სამ. გამოფენაში მონაწილეობის უფლება და მესამე ხუთწლედის პირველ წელს ჩავდგეთ მილიონერ კოლმეურნეობათა რიგებში.

**ნ. მეგრელიშვილი**

სოფ. ლახაურის (მახარაძის რაიონი) ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

## უმსგავსოებანი თესვისათვის მზადებაში

**(წერილი წალენჯიხის რაიონიდან)**

თუმცა რაიონმა მძრალად ხვნის გეგმა შეასრულა, მაგრამ მარტო ეს ხომ არ სწყვეტს საგაზაფხულო თესვისათვის მზადების საქმეს. მთელი რიგი კოლმეურნეობები თესვისათვის სუსტად ემზადებიან. კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე — აკობია) აღრიცხული არ არის იარაღ-მანქანები, რემონტი არ დაუწყიათ, სახნავი ადგილები შემოუღობავია და თესლი ჯერაც არ გაუწმენდიათ.

სოფ. ლიის კოლმეურნეობებში თესვისათვის მზადება დაავიწყდათ. სახკომსაბჭოს სახელობის კოლმეურნეობის ხელმძღვანელები ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმის ოდარდელად ეკიდებიან, იარაღ-მანქანები ცის ქვეშ ჰყრია. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ზარანდია არ ღებულობს ზომებს ამ უმსგავსოების ალსაკვეთად.

წალენჯიხის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობას გუთნების შეკეთება ჯერაც არ დაუწყია. სოფ. ობუჯის კოლმეურნეობებში აღრიცხული არ არის შესაკეთებელი იარაღ-მანქანები, მათს შეკეთებაზე კოლმეურნეობის ხელმძღვანელნი ნაკლებად ფიქრობენ.

მტს-ის სახელოსნო უზრუნველყოფილი არ არის იარაღ-მანქანებითა და საწვავი მასალით. ტრაქტორების საწვავი მასალა ხშირად ავტომანქანებისათვის იხარჯება.

**ვ. ზარქუა**

## ლაგოდეხელი მილიონერები

**დ. ლომთაძე**

— ვინ გაბედა სახელმწიფო ტყის გაჩეხვა, ვინ წაგაქეზათ. გატყდით, დაასახელეთ მეთაური, თორემ ყველას ციმბირში გიკრავთ თავსა, თქვე...

მრისხანე ბოქაული ხელში მათრახს ათამაშებდა და, ცოფმორეული, შეიარაღებულ ცხენოსან ჩაფრებს უყვიროდა:

— არცერთი არ გაუშვათ, ირგვლივ შემოერტყით, ყველას ბორკილებში ჩავჭედავ და ციმბირში გავგზავნი...

30 კაცი იყო ჩაფრებისაგან ალყაშემორტყმული. მათ უყვიროდა სასტიკი ბოქაული. რა დააშავა ამ ხალხმა, რათ უნდა გაეციმბირებინათ ყველანი?

ეს ამბავი 1906 წლის დამლევს მოხდა. მეფის ტახტის საფუძვლიანი შერყევით დაიმედებულმა, ქიზიყიდან აყრილმა გლეხებმა გადასწყვიტეს ლაგოდეხის მახლობლად ერთ ულრან ტყეში დასახლებულიყვნენ. ერთ დღეს 30 კაცი შესია ტყეს, გაჩეხეს პატარ - პატარა ნაკვეთები. გაიკეთეს კარვები და დასახლდნენ. ეს ამბავი ბოქაულმა მყისვე გაიგო, მაგრამ „ზომები“ არ მიუღია. ალბათ ფიქრობდა, ვინ იცის, რა მოხდებაო. ამასობაში კი გლეხებმა კარვების მაგიერ ქოხები ააგეს. შემდეგ, როცა ბოქაულის ამინდი დადგა, მან მოინდომა გლეხების აქედან აყრა, გამოცხადდა „სოფელში“ და მოითხოვა მეთაურების დასახელება...

ალყაშემორტყმულებიდან წინ წამოდგა მოხუცი ზაქარა გელაშვილი.

— ბატონო პრისტავო, შენი ჭირიმე. აბა ჩვენ რა დაგიშავეთ. აი, თავადი როა, ჩოლოყაშვილი, იმან აგვაგულიანა, გვითხრა, თუ დასახლდებით, ჩემი მიწები დაამუშავეთ და ლალა მომეცითო.

ჩოლოყაშვილის ხსენებაზე ბოქაულმა ხმას უკლო, მოლბა. იცოდა, რომ მემამულე - თავადთან შეტაკება არ არგებდა და გაბრუნდა თავისი ჩაფრებინად.

ასე გაშენდა სოფელი შრომა ლაგოდეხის მახლობლად ულრან ტყეში. ძალიან ღარიბი სოფელი იყო უწინ შრომა, უმიწაწყლო გლეხები ცხოვრობდნენ იქ, გაძვალტყავებულნი, უუფლებონი. გაუნათლებლობისა, უვიცობისა და ცრუმორწმუნეობის ჭაობში იყო ჩაფლული ახლად გაშენებული სოფელი. 32 წლის წინათ აქ დასახლებული 30 კომლი 314 კომლად იქცა. ორ კოლმეურნეობაში გაერთიანდნენ ისინი. ერთი ამ კოლმეურნეობათაგანი დღეს მილიონერია. მილიონერმა სოფლის სახელწოდება დაირქვა და ახლა მისი მისამართი ასეთია:

ლაგოდეხის რაიონი, სოფ. შრომის მილიონერი კოლმეურნეობა „შრომა“...

შოფერმა ავტო დააყენა, კორესპონდენტს ორსართულიანი შენობისაკენ მიუთითა და უთხრა:

— მილიონერ კოლმეურნეობის კანტორა აი იქ, მეორე სართულზეა მოთავსებულიო.

კოლმეურნეობის გამგეობის კანტორის ოთახში ოსტატურად შესრულებული პლაკატია. ამ პლაკატზე აღნიშნულია მთელი სოფლის ისტორია, მისი წარსული, აწმყო და მომავალიც. რამდენიმე საყურადღებო ციფრია პლაკატზე, ფერადი ფანქრით წარწერილი:

1933 წელს შრომადღის მარტო ფულადი ანაზღაურება უდრიდა — 2 მან. და 23 კაპ., 1934 წელს—2 მან. 27 კაპ., 1935 წელს—9 მან. 30 კაპ., 1936 წელს — 11 მან. 5 კაპ., ხოლო 1937 წელს თვითეული „შრომელი“ კოლმეურნე შრომადღეზე 15 მანეთს ღებულობს ფულად.

დღეში 15 მანეთი და გარდა ამისა, პური, ლობიო, სიმინდი, კომბოსტო, ღვინო. კიდევ დამატებით — საკარმიდამო ნაკვეთის შემოსავალი.

⁂

წარსული, ბედშავი ცხოვრების ნანგრევებზე აქ წარმტაცი და ბედნიერი ცხოვრება მოაწყეს „შრომელმა“ კოლმეურნეებმა. ახალგაზრდობა ზღაპარივით იმახსოვრებს მათ წინაპართა თავგადასავალს. მოხუცი კოლმეურნე მიხა ქუთაშვილი, ცოცხალი მოწმე ამ სოფლის გაშენებისა და აქ დასახლების ერთერთი პიონერი, ცნობისმოყვარე მსმენელებთან ოქროპირობს და მოსწრებული ქართულით ახასიათებს ძველი ცხოვრების სიდუხჭირეს:

— გაჭირვება, სილატაკე, დამცირება, — ასეთი იყო წინათ გლეხკაცის ხვედრი.

— ახლა?

აბა რა საჭიროა ამ კითხვაზე მიხო ქუთაშვილმა გიპასუხოთ. ახლა როგორ ცხოვრობენ, ამას ყველა აქაური კოლმეურნე გიამბობთ...

გზაში თამბაქოთი დატვირთული ურმების ქარავანი მიდის ლაგოდეხისკენ. კამეჩები ზანტად მიაბიჯებენ საავტომობილო გზატკეცილზე, ხოლო მეურმე, კოფოზე წამოსკუპული, კახურ კილოზე მღერის:

შენ, ჩემო დიდო იმედოო,
კოშკო ნაგებო კირითაა.
წითელო მოვის პერანგო,
შვიდგან შაკრული ღილითაა.

თამბაქოთი დატვირთულ ურმებს ბოლო არ უჩანს. ქარავანი ქარავანს მისდევს, ავტომობილები ურმებს ასწრებენ. თამბაქო აქაური მიწის დოვლათია, აქაური კოლმეურნის გამხარებელი, ბედნიერი და შეძლებული ცხოვრების წყარო.

შარშან „შრომელმა“ კოლმეურნეებმა საწარმოო გეგმაში გაითვალისწინეს დაეთესათ თამბაქო 77 ჰექტარზე, მოეყვანათ და ჩაებარებინათ სახელმწიფოსათვის 77.308 კილოგრამი თამბაქო.

— კოლმეურნეობა მილიონერი უნდა გახდეს! — აი რა ლოზუნგით წარმართეს მათ მუშაობა. ამის მისაღწევად საჭირო იყო სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების ზუსტად დაცვა, ბეჯითი და მუყაითი მუშაობა, შრომის ნაყოფიერების გაზრდა, აგროწესების გატარება, სოციალისტური მეთოდებით მუშაობა, საქმისადმი ერთგულება.

იმუშავეს სასახელოდ, იშრომეს სტახანოვურად და შედეგებიც ბრწყინვალე მიიღეს: მათ მოიყვანეს და სახელმწიფოს აბარებენ 117.365 კილოგრამ თამბაქოს და გეგმით გათვალისწინებული თანხის—305.126 მანეთის ნაცვლად ღებულობენ 1.199.999 მანეთს.

— ჩვენ ყველანი სტახანოვურად ვმუშაობდით, — ამბობს ბრიგადირი ნასყიდა ზავრაშვილი. შეჯიბრება იყო ბრიგადებს შორის, შეჯიბრება იყო რგოლებსა და ცალკე კოლმეურნეებს შორის. შეჯიბრების გაშლამ ძალზე შეგვიწყო ხელი. მინდვრად რომ გავდიოდით, თან მიგვყავდა მზარეულთა ბრიგადაც. წყლის მომტანებად ისინი იყვნენ, ვინც წინა დღით ჩამორჩა ინდივიდუალურ შეჯიბრებაში...

— მუყაითად ვმუშაობთ და კულტურულადაც ვისვენებთ. შესვენების დროს ვაწყობთ გაზეთების ხმამაღლა კითხვას, შეჯიბრებას სიმღერაში, ზოგჯერ ცეკვაში და ამის შემდეგ შრომის ნაყოფიერება კიდევ უფრო დიდდება...

საუბარში სხვებიც ჩაერიენ. ერთის დაწყებულ ამბავს, მეორე აგრძელებს, მესამეს თავისი კორექტივები შეაქვს... კოლმეურნეები ლაპარაკობენ თავიანთ ბრწყინვალე მიღწევებზე, იმაზე, თუ როგორ მოიპოვა გიგო დეპუროვის ბრიგადამ პირველობა ჯერ თვით კოლმეურნეობა „შრომაში“ და მერე მთელს ლაგოდეხის რაიონში, როგორ ჩამოართვა მას პირველობა 1937 წელს ლადო ბალარჯიშვილის ბრიგადამ.

„შრომელ“ კოლმეურნეებს სიტყვა „ღარიბი“ სალაპარაკო ლექსიკონში აღარა აქვთ. რა დროს ღარიბებია, ასეთნი დიდიხანია აღარ არიან ამ სოფლად. ახლა ლაპარაკობენ მხოლოდ მათზე, ვინც ყველაზე უკეთესად ცხოვრობს. ასეთები კი რამდენიც გნებავთ იმდენია. ისინი არიან სოფლის წარჩინებულნი, კოლმეურნეობის სტახანოველები. მათი სურათები ამშვენებს საკოლმეურნეო კლუბის კედლებს და საბრიგადო კედლის გაზეთებს. აგერ რამდენიმე მათგანი:

თედო ჯავაშვილი — გამომუშავებული აქვს 494 შრომადღე, ოჯახის წევრებთან ერთად — 750 შრომადღე. 11.250 მანეთს ღებულობს ფულად.

პეტრე შეითნიშვილს პირადად 585 შრომადღე აქვს გამომუშავებული: მისი ოჯახი 838 შრომადღეში მიიღებს 12.570 მანეთს.

მარო თანდილაშვილი ქალია, მაგრამ შრომაში ბევრ ვაჟკაცს სჯობია. მას 212 შრომადღე აქვს გამომუშავებული, მისმა ოჯახმა კი 1070 შრომადღე გამოიმუშავა, გარდა იმ პროდუქტებისა, რაც უკვე მიიღო, ფულად ეკუთვნის 16.050 მანეთი.

რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. 48 გამოჩენილი წევრი ჰყავს „შრომას“, 48 სტახანოველი. მათ შორის არიან — ლადო ქუჩულაშვილი, რომელსაც გამომუშავებულ შრომადღეებზე 8.940 მანეთი ეკუთვნის, ალექსა მაძღარაშვილს — 7.740 მანეთი, ილო ნატროშვილს კი 7.230 მანეთი.

ლადო ბალარჯიშვილი, თამარ ხატიაშვილი, მარიამ დევიძე და მრავალი სხვანი, — კოლმეურნეობა „შრომის“ საამაყო ადამიანები არიან.

მათ გაიმარჯვეს ამხანაგებთან შეჯიბრებაში, მათ და კოლმეურნეობის ყველა 400 წევრმა წელს მილიონიან შემოსავალს, ნამდვილად შეძლებულ, ბედნიერ და საამურ ცხოვრებას მიაღწიეს. მემამულეთა, კულაკთა და თავადთა ნასახლკარზე, ძველი ცხოვრების ნანგრევებზე მათ ააგეს ახალი სიხალისით აღსავსე და სიხარულით შემკული ცხოვრება.

„შრომელი“ კოლმეურნეები ემზადებიან წელს კიდევ უფრო უხვი მოსავლის მიღებისათვის. წარმატებით ემზადებიან საგაზაფხულო თესვისათვის. 12 იანვარს, უზენაესი საბჭოს პირველი ისტორიული სესიის აღსანიშნავად, ისინი ხელს მოაწერენ სოციალისტურ ხელშეკრულებას ტელმანის სახელობის მეზობელ კოლმეურნეობასთან.

## კარგად ემზადებიან

**(„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან)**

სოფ. ახალსოფლის (ყვარლის რაიონი) ლენინის სახელობის კოლმეურნეობა საგაზაფხულო თესვისათვის გაცხოველებით ემზადება. კოლმეურნეობის გამგეობამ განიხილა საგაზაფხულო თესვისათვის მზადების საკითხი და დასახა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი.

საგაზაფხულო თესვის საორიენტაციო გეგმები დაიყვანეს ცალკეულ ბრიგადებამდე და მოახდინეს მათი ფართოდ გაცნობა კოლმეურნეობისათვის. გამგეობის ყველა წევრს მიცემული აქვს კონკრეტული დავალებანი.

მუშა-პირუტყვს კარგად უვლიან, მოთავსებული ჰყავთ თბილ, სუფთა და ნათელ ბოსლებში და ჰკვებავენ გაძლიერებით. კოლმეურნეობას გადაწყვეტილი აქვს ამ გაზაფხულზე 60 ჰექტარი სიმინდი დათესოს. სათესლე მასალა გამოყოფილია, გადარჩეული და საგულდაგულოდ შენახული.

იარაღ-მანქანები თითქმის მთლიანად შეკეთებულია.

ბრიგადები და ცალკეული კოლმეურნენი ურთიერთშორის ჩაბმული არიან სოცშეჯიბრებაში და მონდომებით მუშაობენ ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესასრულებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საომარი მოქმედება ჩინეთში

## ჩრდილოეთ ჩინეთში

**ხანკოუ**, 9 იანვარი (საკდესი). ჟუშინ იაპონელთა ჯარებთან ჩინელ პარტიზანთა შეტაკების დროს ლინ-ჯანის რაიონში (ხებეისა და ხენანის პროვინციების საზღვარზე) მოკლულია დაახლოებით ასი იაპონელი ჯარისკაცი. ჩინელმა პარტიზანებმა ხელთ იგდეს ორი ტყვიამფრქვევი, 40 შაშხანა და 15 ცხენი.

შანსის პროვინციის ჩრდილო ნაწილში სერიოზული ოპერაციები ვითარდება. ჩინეთის მე-8 ნაციონალურ-რევოლუციური არმიის სარდალი ჟუ დე იუწყება, რომ შანსის ჩრდილო ნაწილში მომქმედი იაპონელთა ჯარები საგრძნობ ზარალს განიცდიან ჩინელებისაგან. 7 იანვარს იაპონელთა მიერ იუანპინის დასავლეთით დაწყებული შეტევა იაპონელთა ნაწილების დამარცხებით დამთავრდა. შეტევაში მონაწილეობას იღებდა 2 ათასი იაპონელი ჯარისკაცი, 10 ტანკი და სამთო არტილერია, რომელიც 10 ქვემეხისაგან შესდგებოდა. ბრძოლა დღეღამის განმავლობაში გრძელდებოდა. მე-8 არმიის პოლკმა სარდალ ვანის ხელმძღვანელობით დაამარცხა იაპონელები. იაპონელთა ჯარებმა უკან დაიხიეს. მათ დიდი დანაკარგი აქვთ.

შანდუნის პროვინციაში 8 იანვარს ბრძოლა მოხდა ძიანინის მიდამოებში („დიდ არხზე"). ბრძოლაში ორივე მხრით მონაწილეობდა არტილერია. 5 საათისათვის ომი ხელჩართულ ბრძოლად გადაიქცა, რის შედეგად მოკლულია 500-მდე იაპონელი. იაპონელთა ჯარებმა უკან დაიხიეს.

## ცენტრალურ ჩინეთში

**ხანკოუ**, 10 იანვარი (საკდესი). ანხუეის პროვინციაში ჩინელთა ჯარებმა აიძულეს იაპონელები დაეტოვებინათ ქალაქები იუისი, ჩაოსიანი და ხანშანი. ამ ქალაქების შენარჩუნება იაპონელებმა მხოლოდ 24 საათით შესძლეს. იაპონელთა თვითმფრინავები ყოველდღე უშენენ ყუმბარებს ქალაქებს ანხუეის პროვინციის ცენტრალურ ნაწილში. ქალაქ დინ-იუანსა და ფინ-იანში უკანასკნელ თავდასხმათა შედეგად მოკლულია 100-ზე მეტი მცხოვრები.

8 იანვარს იაპონელთა თვითმფრინავები ყუმბარებს უშენდნენ ქალაქ ბენცუს (ფინ-იანის ჩრდილო-დასავლეთით). მოკლულია 100-ზე მეტი კაცი. 8 იანვარს ხანჯოუში იაპონელთა ჯარებსა და ჩინელ პარტიზანებს შორის მოხდა ბრძოლა ქუჩებში. იაპონელთა სარდლობამ ახალი ძალები გადაიყვანა ხანჯოუს რაიონში, მათი ნაწილები კვლავ შევიდნენ ქალაქში. იაპონელთა მიერ ხანჯოუს პირველად აღების დროს სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა მოსახლეობის საყოველთაო ძარცვა და ჟლეტა. ბევრი ახალგაზრდა მოჰკლეს ქუჩაში მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ახალგაზრდები იყვნენ და ჩინეთის არმიაში სამსახური შეეძლოთ. ასობით ქალები გააუპატიურეს.

# იაპონელი ადმირალები ომით ემუქრებიან ინგლისს

**ტოკიო**, 10 იანვარი (საკდესი). ჟურნალ „ხინოდეს" უკანასკნელ ნომერში მოთავსებულია სტატია, რომელიც ყურადღებას იპყრობს თავისი მწვავე გამოსვლით ინგლისის წინააღმდეგ. სტატია დასათაურებულია „იომებს თუ არა ინგლისი იაპონიასთან" და შედგენილია საუბრის სახით, რომელშიაც მონაწილეობდნენ გადამდგარი ვიცე-ადმირალი მორიამა და რეზერვში მყოფი რამდენიმე იაპონელი ადმირალი და გენერალი. პირველ ყოვლისა მორიამა ინგლისს აცხადებს „ჩინეთის თანამონაწილეთ, ვინაიდან ჩინეთში არ იქნებოდა საომარი მოქმედებანი, ინგლისს რომ არ აეგულიანებია ჩინელები, რომელსაც დაჰპირდა დახმარებას იაპონიის წინააღმდეგ ბრძოლაში". ინგლისი, მორიამის მტკიცებით, „არა მარტო ეხმარებოდა ჩინეთს ეკონომიური და ფინანსიური ღონისძიებებით იაპონიის საზიანოდ, არამედ ახლაც ქმედითს დახმარებას უწევს ჩინეთს და მით ხელს უშლის იაპონიას განახორციელოს თავისი მისია აღმოსავლეთ ჩინეთში.

მორიამა წარმოუდგენელი ცინიზმით დასცინის ინგლისის პროტესტს ინგლისის ელჩის ხიუჯესენის დაჭრის გამო. იაპონელი ვიცე-ადმირალის მტკიცებით, რომელსაც, როგორც ჩანს, ცოტა გამოცდილება არა აქვს უიარაღო ადამიანებზე თავდასხმაში, „ინგლისის ელჩი არ შეიძლებოდა დაჭრილიყო მუცელში, ვინაიდან ავტომობილის სახურავში ტყვია არ გაუვლია". ინგლისის პოლიტიკას მორიამა „ავადმყოფის ან შეშლილის პოლიტიკას" უწოდებს და იმედს გამოსთქვამს, რომ ინგლისი უახლოეს წლებში „კატასტროფას განიცდის", ხოლო იმის შესახებ, რომ ინგლისი დახმარებას უწევს ჩინეთს, აგდებულად აცხადებს: „დეე, დაეხმარონ... ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ ყველა ისინი გავანადგუროთ".

მორიამის ტონზევე აცხადებს გენერალ-ლეიტენანტი იტამიც, რომ „ინგლისი ცდილობს ჩაითრიოს ა. შ. შ. შეერთებულ ბრძოლაში იაპონიის წინააღმდეგ, რათა გადამწყვეტი ბრძოლა გაუმართონ იაპონიას, თუ კი იგი შეეცდება ინგლისურ ხაჭაპურის ჩამოჭრას".

ვიცე-ადმირალი იამასიტა ემუქრება ინგლისის ფერადი რასის ხალხთა გამოღვიძებით, რომლებიც „იაპონიის მაგალითს მიჰბაძავენ", და აცხადებს, რომ „ინგლის-იაპონიის ომის გარდუვალობის შეგნება სულ უფრო-და-უფრო მტკიცდება".

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ იამასიტას ნალაპარაკევში შეშფოთების დაუფარავი გრძნობა გამოსჭვივის. „თუ იაპონია, — ამბობს იგი, — გაჭიანურდება ჩინეთთან ომში, ინგლისი ადვილად შესძლებს იაპონიის დაჩოქებას".

# რა უჯდებათ ომი ესპანეთში ფრანკოსა და მის მოკავშირეებს

**ლონდონი**, 10 იანვარი (საკდესი). გაზეთ „ფინენშიელ ნიუსის" უცხოეთის განყოფილების რედაქტორი, უკეთებს რა კომენტარიას რესპუბლიკელთა ჯარების მიერ ტერუელის აღების საერთაშორისო მნიშვნელობას, სწერს, რომ რესპუბლიკელთა ამ გამარჯვების შედეგად გერმანია და იტალია, ცხადია, კიდევ უფრო გააძლიერებენ სამხედრო-მატერიალური დახმარების გაწევას გენერალ ფრანკოსათვის.

მაგრამ, — განაგრძობს რედაქტორი, — ეს პერსპექტივა არცერთ ამ ქვეყანას არ ჰგვრის სიხარულს, რამდენადაც ომმა ესპანეთში უკვე ძლიერ გამოჰფიტა ორივე ფაშისტური სახელმწიფო. რედაქტორის სიტყვით, გაზეთი „ფრანკფურტერ ცაიტუნგი" იუწყებოდა, რომ ფრანკოს ძალიან დიდი დავალიანება აქვს, მაგრამ არ აღნიშნავდა დავალიანების ჯამს.

ბერლინის სარწმუნო წყაროების ცნობით, სწერს რედაქტორი, გამორკვეულია, რომ გენერალ ფრანკოს დავალიანება შეადგენს 2,5 მილიარდ ლირაზე მეტს იტალიისადმი და დაახლოებით 800 მილიონ მარკას გერმანიისადმი. „ამგვარად, — განაგრძობს რედაქტორი, — უკვე არსებულ პოლიტიკურსა და ეკონომიურ მიზეზებს ემატება კიდევ ერთი მიზეზი, რომლის გამო გერმანია და იტალია ადვილად ვერ გადაიტანენ ესპანელ მეამბოხეთა დამარცხებას".

გაზეთ „ტაიმსის" ანდეელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ტერუელის ფრონტზე მომხდარი ბრძოლა წარმოადგენდა ყველაზე დიდ ბრძოლას ესპანეთის სამოქალაქო ომში. იგი წარმოადგენს „რესპუბლიკური არმიის ახალი ძლიერების საუკეთესო დასტურს".

„ტაიმსის" სალამანკელი კორესპონდენტის ცნობით, გენერალ ფრანკოს ოფიციალური განცხადება მეამბოხეთა მიერ უკანასკნელი პოზიციების დაკარგვის შესახებ ტერუელში, სრულიად მოულოდნელი იყო მეამბოხეთა ჯარებისათვის სხვა ფრონტებზე.

# მოკლე ცნობები

**— სამხედრო და საზღვაო მინისტრები ამთავრებენ დამატებითი ბიუჯეტის შედგენას ჩინეთში ხანგრძლივი ომის წარმოების ვარაუდით. მარტო 1938 წლისათვის ითვალისწინებენ 4—5 მილიარდი იენის დახარჯვას.**

**— „გუდრიჩის" საწარმოთა მუშების გაფიცვა მუშათა გამარჯვებით დამთავრდა. მეწარმეებმა ხელი აიღეს გაფიცვის აქტივისტებისა და ორგანიზატორების დათხოვნაზე.**

# გერმანიის ფაშისტური პრესის სიცრუე გამომჟღავნებულია

**ბერლინი**, 10 იანვარი (საკდესი). ფაშისტთა ჯარების განადგურებამ რესპუბლიკური არმიის მიერ ტერუელთან მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა გერმანული პრესა. როგორც ვიცით, გერმანიის პრესამ მეამბოხეთა ცრუ ცნობებთან დაკავშირებით მათ მიერ ტერუელის „აღების" შესახებ — ახალწელს ფრანკოს მიულოცა „ბრწყინვალე გამარჯვება". ახლა ფაშისტურ პრესას უხდება სასწრაფოდ უკან დახევა. დღევანდელი გაზეთები ჰბეჭდავენ სალამანკიდან მიღებულ მოკლე დეპეშას ფაშისტური არმიის სრული განადგურების შესახებ ტერუელთან. ფაშისტური ოფიციოზი „ფელკიშერ ბეობახტერი" ჰბეჭდავს ტერუელიდან გამოქცეულ ბურგომისტრის განცხადებას იმის შესახებ, რომ ფაშისტთა უკანდახევა გამოწვეულია „მეამბოხეთა არმიის რიგებში საბრძოლო სულისკვეთებისა და სიმტკიცის უქონლობით".

„ფრანკფურტერ ცაიტუნგი" სტატიაში „ბრძოლა ტერუელთან" იუწყება, რომ რესპუბლიკელებს დანებდა მეამბოხეთა 1.500 ჯარისკაცი თავისი უფროსმეთაურობით. ამავე სტატიაში მოყვანილია „ტანის" ცნობა იმის შესახებ, რომ „ტერუელთან გამარჯვება არის იმის შედეგი, რომ რესპუბლიკურ მთავრობას კარგად გაწვრთნილი და დისციპლინებული არმია ჰყავს".

# საპარიკმახეროში, აბანოში...

ვინ არ ყოფილა საპარიკმახეროში? ყველა ჩვენგანი ყოფილა. ყველა ჩვენგანს განუცდია სამართებლიან ოსტატთა მრავალსიტყვაობის სიმძიმე და პირისახის გასუფთავების სიხალისე.

— უბრატ პრიბორ! გაისმის ძახილი ხან ამ სარკის და ხან იმ სარკის მახლობლად.

— გთხოვთ, რიგის მიხედვით! — კვლავ იმეორებენ სარკეებთან და განუწყვეტლივ ერთიმეორეს სცვლიან კლიენტები. პარიკმახერის ხელი თასმაზე ვირტუოზულად ათამაშებს სამართებელს, სავარცხელი მწყობრში მოიყვანს აჩეჩილ თმას და კლიენტის ყურთან გაისმის მაკრატლის წკაპა-წკუპი.

სახელდახელოდ გაპარსულ და გალამაზებულ მოქალაქეს სახეზე სურნელოვან წყალს გადაავლებენ, შეჰპუდრავენ და... გამოუწერენ ჩეკს.

ჩეკზე სწერია „2 მან."

იქვე კი კედელზე სანიხრე ფურცელია გაკრული და ამ ფურცელზე აღნიშნულია: კლიენტებო, მეტი არ გადაიხადოთ. პირის გაპარსვა ღირს 80 კაპ., თავისა... და ა. შ; გაკვირვებული კლიენტი ზოგჯერ ბედავს ხოლმე პარიკმახერს შეეკითხოს:

— რატომ 2 მანეთი, ნიხრში ხომ 80 კაპ. გიწერიათ?

— 2 მანეთი იმიტომ, რომ ყურისძირებში თმა შეგისწორეთ, სურნელოვანი წყალი მოგასხურეთ (რა ღირს, პარიკმახერო, თითო წვეთი ამ წყლისა?), პუდრით სახე შეგიმშრალეთ, პიჯაკზე ჩოთქი გადავკარი...

კლიენტი ბედსაც ურიგდება, 1 მან. 20 კაპ. დაკარგვასაც, შიდის და თან მიაქვს არტელ „შეკავშირებისადმი" უპატივცემლობა.

აბანოშიც ხომ ხშირად დადიხართ? დაჰკვირვებიხართ თუ არა, როგორი პატივისცემით გეპყრობათ მექისე, როცა... საჩუქარს მოელის თქვენგან. შეხვალთ თუ არა აბაზანებიან დარბაზში, ორთქლის ბუღი და მობანავეთა ხორხოცის ხმა გეცემათ. მექისე ქისის ბილეთს ჩამოგართმევთ, იქვე კედელზე მიაწყვეტს და...

— როგორ გსურთ მასაჟით, თუ უმასაჟოდ? თუ მიბრძანებთ, კარგად დაგბანთ...

— როგორც წესია, ისე დამბანეთ!

მექისეც ვირტუოზია. გააჭყუმპალებს ვედროში ტილოს, გაჰქნის საპონს, გაჰკრავ-გამოჰკრავს ხელს და...

— აბა, შემდეგი! იძახის მექისე.

ისევ იგივე ტრადიციული შეკითხვა, ისევ იგივე მანიპულაციები.

ჩასაცმელად გამოსულს იგივე მექისე წინ გხვდებათ.

— გაამოთ, გაამოთ. შესანიშნავად დაიბანეთ, ხომ? ხასიათზე ხომ კარგათ ბრძანდებით. აი... ტილოთი რომ დაგზილეთ, ძალიან მარგებელია...

თუ პასუხის მაგიერ მექისეს ფული უჩინრად ჩაუდეთ ხელში, უნდა ნახოთ მეორედ როგორ შეგხვდებათ, თუ არა და... გინდ თქვენ შეუსვლიხართ იმ აბანოში და გინდ ვედრო აევსებულა წყლით.

კლიენტი აქაც ბედს ურიგდება, უკან ბრუნდება და თან მიაქვს აბანოს ტრესტისადმი უპატივცემლობის გრძნობა.

საინტერესო ამბავია: „ოსტატები" სძარცვავენ მოქალაქეებს, მაგრამ სძარცვავენ ისე, რომ დანაშაულის კვალი არსად რჩება. ვინ უნდა მოაწესრიგოს ეს საქმე?

— თვითონ კლიენტებმა. ნუ გადაიხდიან ზედმეტ ფულს, ხოლო „ოსტატთა" მხრივ ცუდი მომსახურების შესახებ განუცხადონ დირექციას.

ამჟამად თბილისში მუშაობს საპარიკმახეროების, აბანოების და სამრეცხაოების მუშათა პროფკავშირის მეორე პლენუმი. ამ პლენუმის დღის წესრიგში ეს საკითხებიცაა დასმული განსახილველად. უნდა მოწესრიგდეს საპარიკმახეროებში, აბანოებში და სამრეცხაოებში ხალხის კულტურულად მომსახურების საქმე.

**დ. ამირანიძე**

# მწერალთა კავშირში

მწერალთა კავშირის კრიტიკოსთა სექცია 14 იანვარს მწერალთა სასახლეში აწყობს დ. ბენაშვილის მოხსენებას თემაზე: „სერგო კლდიაშვილის შემოქმედება". კამათში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან მწერლები, კრიტიკოსები, მკითხველები.

დასაწყისი საღამოს 7 საათზე.



გივი ძიძიგური და ემა ბუღუმიანი (ლენრაიონის № 8 საბავშვო ბაღი) სასეირნოდ მიდიან „საკუთარი ავტომანქანით".
ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)



სოფელ ადიგენის მეზურნე-აშუღები (მარცხნიდან მარჯვნივ) — ნიაზ კაპიანიძე, ილიას და ისკანდერ კახიძეები.
ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.).

# „საქფილეგთი" ახლებურად მუშაობს

„საქფილეგთში" მოხდა რადიკალური რეორგანიზაცია მთელი მისი მუშაობისა, იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს მომსახურების ხარისხი, ყოველმხრივ ხელი შეუწყონ მასების კულტურული დონის ამაღლებას და განავითარონ ნაციონალური ხელოვნება.

„საქფილეგთის" მუშაობის სფერო მნიშვნელოვნად არის გაფართოებული. ფილარმონიის განყოფილება ხელმძღვანელობას უწევს კონცერტების, სიმფონიური ორკესტრისა და კამერული კონცერტების მოწყობას. საგასტროლო-საპერიფერიო განყოფილებაში შედიან სახელმწიფო კაპელა და კუხიანიძის, პაჭკორიას, კავსაძის, თარხნიშვილის ხელმძღვანელობით არსებული გუნდები, მეჩონგურეთა ანსამბლი ა. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით, ოპერის სოლისტების ვოკალური კვარტეტი და სხვ. განახლებული და გაუმჯობესებული იქნება ესტრადის მსახიობების რეპერტუარი, გამოვლინებული იქნებიან ახალი კადრები ახალი საესტრადო რეპერტუარით.

ესტრადა მთელ წელიწადს იმუშავებს. თვის განმავლობაში ადგილობრივ პროგრამას ეთმობა 15 დღე და ჩამოსულ მსახიობების გამოსვლებს — 10 დღე.

დიდი ყურადღება ეთმობა თემატური კამერული საღამოების მოწყობას ადგილობრივი ვოკალური ძალებისაგან.

კურორტებისა და დასასვენებელი სახლების მომსახურება დასმულია როგორც ერთერთი პირველი ამოცანა. „საქფილეგთის" ბრიგადები უკვე მუშაობენ ბათუმსა და სოხუმში.

მუშაობას უკეთესი ხელმძღვანელობისათვის ადგილებზე საქფილეგთს აქვს ფილიალები გაგრასა და სოხუმში. ამ დღეებში ფილიალს ხსნიან ქუთაისში; მას გადაეცემა ადგილობრივი თეატრი, სადაც თვეში გაიმართება ესტრადის 15 საღამო.

„საქფილეგთმა" გადაჭრით უარი სთქვა მხატვრულად დაბალფასიან, პოლიტიკურად გაუმართლებელ რეპერტუარზე. მას განზრახული აქვს მოიწვიოს წითელარმიული ანსამბლი, დონის ოლქის ყაზახთა გუნდი, მეზობელ მოძმე რესპუბლიკების გუნდები და ანსამბლები.

მყარდება მტკიცე კავშირი აზერბეიჯანის რესპუბლიკასთან. სწარმოებს აგრეთვე მოლაპარაკება მოსკოვსა, კიევსა, დონბასსა, ოდესასა და სხვა დიდ ცენტრებთან, სადაც განზრახულია საქართველოს მხატვრულ კოლექტივთა (სახელმწიფო კაპელის, გუნდების, მეჩონგურეთა ანსამბლის და სხვ.) საგასტროლოდ გამგზავრება. თბილისში მოწვეული არიან გამოჩენილი საბჭოთა დირიჟორები და სოლისტები გოლოვანოვი, გაუკი, გილელსი, ფიშმანი, და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ავტონომიური რესპუბლიკების — აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, აგრეთვე რაიონების მხატვრულ მიღწევათა ჩვენებას. მოეწყობა მათი ხელოვნების განსაკუთრებული დეკადები და საღამოები.

თბილისში „საქფილეგთის" თეატრის პროგრამა გადატანილი იქნება შემდეგ კლუბებში: რკინიგზისა ნავთლუღში, პლეხანოვის სახელობისა, 26-ის სახელობისა, ლ. პ. ბერიას სახელობის კულტურის სახლში და სტუდენტთა ქალაქში.

გარდა საესტრადო პროგრამისა, მოაწყობენ ლექციებსა და მოხსენებებს, აგრეთვე ძველი და ახალი ვოდევილების საღამოებს. ამ მუშაობაში ჩაბმული არიან მწერლები ა. მაშაშვილი, ს. კლდიაშვილი, მარიჯანი და სხვ., რომელნიც „საქფილეგთისათვის" პიესებსა და სკეტჩებს სწერენ.

(საქდესი).

# დღეს სტადიონზე

დღეს, 12 იანვარს, „დინამოს" სტადიონზე შესდგება ფეხბურთის პირველი მატჩი 1938 წელს. ამხანაგურ თამაშში ერთმანეთს შეხვდებიან „ლოკომოტივი" და უმაღლესი სასწავლებლების ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი.

დასაწყისი ნაშუადღევის 2 საათზე.

დამთავრდა ბაქოს პირველობის გათამაშება ფეხბურთში: პირველ ადგილზე გამოვიდნენ „ტემპი" და „ნავთის მუშათა კავშირი".

აბსოლუტური ჩემპიონის გამოსარკვევად გუნდები ერთხელ კიდევ უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. მაგრამ „ტემპმა" უარი განაცხადა თამაშზე და პირველი ადგილი მიეკუთვნა „მენავთეებს". მათვე, როგორც ქალაქის საუკეთესო გუნდს, გადაეცა გარდამავალი წითელი დროშა.

მესამე ადგილზე გამოვიდნენ „მშენებლები", მეოთხეზე — „ლოკომოტივი", მეხუთეზე — „დინამო" და მეექვსეზე — „მეზღვაური".

# შემთხვევები

**— მკვლელობა.** 10 იანვარს, დილით, საბურთალოს რაიონში იპოვეს უცნობი მამაკაცის გვამი, შეხედულებით 25—28 წლის ასაკისა. მას მიყენებული აქვს რამდენიმე ჭრილობა დანით. მოკლულის ვინაობა ჯერჯერობით გამოურკვეველია. გვამი გაიგზავნა პირველი საავადმყოფოს პროზექტურაში. სწარმოებს სასწრაფო გამოძიება.

# პარტკალენდარი

**ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში.**

**13 იანვარს.**

**საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი** — კონსულტაცია თემაზე: „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დაარსება და პარტიის შიგნით ბოლშევიკთა და მენშევიკთა ფრაქციების გაჩენა" (1901—1904 წ. წ.).

კონსულტანტი რუსულ ენაზე — ამხ. დაიპი, ქართულ ენაზე — ამხ. სიმონიშვილი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

**აგიტაციის კაბინეტი** — კონსულტაცია თემაზე: „შრომა კაპიტალიზმის დროს და შრომა საბჭოთა კავშირში". კონსულტანტი რუსულ ენაზე — ამხ. ლელინი, ქართულ ენაზე — ამხ. სიმონიშვილი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

**ალკკ კაბინეტი** — კონსულტაცია თემაზე: „საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სახალხო კომისართა საბჭოს უფლებანი და მოვალეობანი".

კონსულტანტი ქართულ ენაზე — ამხ. თავართქილაძე. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

პ.-მგ. რედაქტორის მოვალეობის დრ. ამსრულებელი

**კ. ჩარკვიანი**


**თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი**

| | |
|---|---|
| 12/I | ერთდრ. ტალ. № 3 დღისით **ევგენი ონეგინი** დასაწყ. 12 საათზე. |
| 12/I | მუდმ. ადგ. ტალ. № 73 საღამოს ბალეტი **ესმერალდა.** |
| 13/I | მუდმ. ადგ. ტალონი № 74 **სიმფონიური კონცერტი** დირიჟ. — ოდისეი დიმიტრიადი სოლისტები: მ. ნაკაშიძე, ა. ბუთხუზი და გ. ბარნაბიშვილი. |

დასაწყისი საღ. 8 საათზე

**რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი 1938 წ. სეზონი**

| | |
|---|---|
| 12/I | წარმოდგენა 71 **გმირთა თაობა** |
| 14/I | წარმოდგენა 73 **ნაპერწკლიდან** |
| 15/I | წარმოდგენა 74 **ნაპერწკლიდან** |

დასაწყისი საღ. 8 საათზე.
10 იანვრიდან დარიგდება მუდმივი ადგილების ბილეთები, ვისაც მე-3-ე გადასახადი არ ექნება გადახდილი, ბილეთები არ მიეცემა. ბილეთების გაცემა სწარმოებს თეატრის ბუღალტერიაში დილის 11 საათიდან 4 საათამდე.

**მარჯანიშვილის სახელობის თეატრი**

| | |
|---|---|
| 12/I | დილის წარმოდგენა **ნაპერწკლიდან** დასაწყ. 12 საათზე. |
| 12/I წარმ. № 76 | საღამოს **ნაპერწკლიდან** |
| 14/I წარმ. № 77 | **ნაპერწკლიდან** |

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
სალარო ღიაა დილ. 12-დან საღ. 9 საათ.

**ა. დ. ქლენტი**
შინაგანი სნეულებანი. სპეციალურად კუჭ-ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა-მკურნალობა. მიღება ყოველდღე 7—8 ს. ოთხშაბათობით უფასოდ.
მისამართი: წყნეთის ქ. № 8 17278

**ექიმი მ. ბ. შახნაზაროვი**
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფთა მიღება. კანის და ვენერიული სნეულებანი. მიღება დილით 10-დან 12½ ს-მდე, საღამოს — 5-დან 9 ს-მდე კრასნოგორსკის ქ. № 43 შესავალი სადარბაზო კარიდან.

**დღეს სახელმწიფო კინოთეატრებში**

| | |
|---|---|
| ოქტომბერი პლეხანოვის გამზ. № 135 | დიდი ხმოვანი მხატვრული ფილმი **ლენინი ოქტომბერში** სცენარი — ა. კაპლერისა, რეჟისორი — მ. რომმი. I. სეანსის დასაწყისი „კომკავშირელსა" და „სპარტაკში" 6 ს., „ოქტომბერსა" და რ. ლუქსემბურგის სახ. კინოთეატრებში 6 ს. 40 წ. |
| კომკავშირელი პლეხანოვის გამზ. № 91 | |
| რ. ლუქსემბურგის სახ. ჯორჯიაშვილის ქ. № 8 | |
| სპარტაკი რუსთაველის გამზ. № 23 | |
| დამკვრელი პლეხანოვის გამზ. № 125 | ახალი ხმ. ფილმი **სამშობლოს ქალიშვილი** დასაწყ 6-30 |
| 26 კომ. სახელობის შაუმიანის მოედანი | ხმოვანი ფილმი **კარო** დასაწყ. 6-30 |
| არსენა კომუნალური ქ. № 9 | ხმოვანი ფილმი **სამშობლოს ქალიშვილი** დასაწყ. 6-30 |
| ახალი ამბები | ხმ. კინო-ნარკვევები **გამარჯვება სამშობლოვ, დნეპრზე** დასაწყისი 6-30 |

**სამედიცინო და სტომატოლოგიურ ინსტიტუტში შემსვლელთათვის მოსამზადებელ კურსებზე**
გრძელდება მიღება ახალ ჯგუფებში.
მისამართი: კალინინის ქ. № 51, 5 რკ. გზის სკოლა, მესამე სართული, საღ. 7—10 საათ. 17560

**სახცირკი.** ტელ. 3-11-44

დღეს, 12 იანვარს **ორი წარმოდგენა** დღისით, დასაწყ. დღის 2 ს. საღამოს, დასაწყისი საღ. 8 ს. 30 წ. ვრცელი მრავალფეროვანი პროგრამა ორივე წარმოდგენაში მონაწილეობს **ლილიპუტების ჯაზი** 1-ლი ციკლის პროგრამის უკანასკნელი დღე. სალარო დილის 10 საათიდან.

13 იანვრიდან **ლილიპუტების ჯაზი** გამოვა მე-2 ციკლის **ახალი პროგრამით** აგრეთვე ცირკის მთელი დასი დასაწყისი საღ. 8 ს. 30 წ.

**ესტრადის სახელმწიფო თეატრი** პლეხანოვის პროსპექტი, № 123, ტელეფონი 3-02-29

12 იანვარს **დღისით** დასაწყ. დღ. 1 ს. **დღის საბავშვო კონცერტი** ბილეთები სალაროში, ტალონი № 12
12-ს საღამოს **სახელმწიფო კაპელა** რესპ. დამსახ. არტ. **მელიტონ კუხიანიძის** ხელმძღვანელობით. დასაწყისი საღ. 8½ ს. 17568

13 იანვარს ტალონი № 13 **შოთა რუსთაველის საღამო**
**მონაწილეობენ:** რესპ. დამსახ. არტ. ვ. ანჯაფარიძე, რესპ. დამსახ. არტ. თ. ჭავჭავაძე, ც. თაყაიშვილი, რესპ. დამსახ. არტ. შ. ღამბაშიძე, შ. გომელაური.
**ლიტერატურულ-ვოკალური ნაწილი** სსრ კავშირის სახ. არტისტი აკ. ვასაძე, რესპ. სახ. არტ. ალ. იმედაშვილი, ნ. ცომაია, ო. ჩხაიძე, ვაშალომიძე, ილურიძე და გომელაური, მ. ყვარელაშვილი.
დასაწყ. საღ. 8½ ს. ბილეთები სალაროში.

**თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს სანიტარულ-ჰიგიენური ფაკულტეტის შემდეგ საგნებზე:**
1. ნორმალური ანატომია, 2. ჰისტოლოგია, 3. ფიზიკა, 4. ანალიზური ქიმია, 5. არაორგანიული ქიმია, 6. ორგანიული ქიმია, 7. ფიზიოლოგია. 8. ბიოქიმია, 9. ფიზიკური ქიმია, 10. მიკრობიოლოგია, 11. ჰიგიენა ზოგადი, 12. პათ. ფიზიოლოგია, 13. პათოლოგ. ანატომია, 14. შინაგან სნეულებათა კლინიკა, 15. ფარმაკოლოგია
განცხადება ავტობიოგრაფიით, სამეცნიერო შრომების სიით, თვით მეცნიერული შრომებით, პარტიული და საზოგადო ორგანიზაციების დახასიათებით შემოტანილ უნდა იქნას მედინსტიტუტის დირექციაში (თბილისი, ლუნაჩარსკის ქ. № 12) არა უგვიანეს ერთი თვისა დღიდან გამოცხადებისა.
**სამედიცინო ინსტიტუტის დირექცია.**
1002


## საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახკომისარიატის „საქმარმარილოს" წარმოების ბალანსი 1937 წლის 1 იანვრისათვის (ათას მანეთებში)

| №№ რიგ. | აქტივი: ანგარიშების დასახელება | თანხა | №№ რიგ. | პასივი: ანგარიშების დასახელება | თანხა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ძირითადი საშუალებანი საწარმოო მნიშვნელობისა | 449 | 1 | საწესდებო ფონდი | 691 |
| 2 | ძირითადი საშუალებანი არასაწარმოო მნიშვნელობისა | 15 | 2 | სპეცფონდები | 38 |
| 3 | მარაგი მასალების, ნედლეულის და სათბობის | 89 | 3 | რეზერვები | 7 |
| 4 | საქონელი, მზანაწარმი | 354 | 4 | მოკლევადიანი კრედიტები | 57 |
| 5 | გასასყიდად გამოყოფილი საგნები | 4 | 5 | ანგარიშსწორებანი | 374 |
| 6 | ფულადი საშუალებანი | 44 | | | |
| 7 | ანგარიშსწორებანი | 89 | | | |
| 8 | მომავალი პერიოდის ხარჯები | 11 | | | |
| 9 | განყენებული საშუალებანი | 11 | | | |
| 10 | შინსაბალანსო ანგარიშსწორებანი | 12 | | | |
| 11 | საანგარიშგებო წლის დანაკარგები | 89 | | | |
| | ბალანსი... | 1167 | | ბალანსი... | 1167 |

### დანაკარგებისა და დაგროვების ანგარიში

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. | ზარალი საქონლისა და მზანაწარმის რეალიზაციით | 18 | 1. სხვა დაგროვებანი | 27 |
| 2. | სხვა დანაკარგები | 98 | | |
| | დაგროვების სალდო | — | დანაკარგების სალდო | 89 |
| | ბალანსი... | 116 | ბალანსი | 116 |

დირექტორი **ბერძენიშვილი.** მთ. ბუღალტერი **ებანოიძე.**

ბალანსი და დანაკარგ-დაგროვების ანგარიში დამტკიცებულია საქ. ადგ. მრეწველობის სახკომის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

1689 საქართველოს ადგილ. მრეწვ. სახკომ. საბუღალტრო ჯგუფის ხელმძღვანელი **ჯანელიძე**

## ბალანსი საქრემონტსასწორტრესტისა 1937 წლის 1-ლ იანვრისათვის (ათას მანეთებში)

| №№ რიგ. | აქტივი: ანგარიშების დასახელება | თანხა | №№ რიგ. | პასივი: ანგარიშების დასახელება | თანხა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ძირითადი საშუალებანი საწარმოო მნიშვნელობისა | 175,7 | 1 | საწესდებო ფონდი | 239,4 |
| 2 | მარაგი მასალების, ნედლეულის და სათბობისა | 70,0 | 2 | რეზერვები | 37,2 |
| 3 | ნახევარფაბრიკატები და დაუმთავრებელი წარმ. | 15,0 | 3 | ანგარიშსწორებანი | 144,3 |
| 4 | გასასყიდათ გამოყოფილი საგნები | 82,0 | 4 | საანგარიშო წლის დაგროვებანი | 7,9 |
| 5 | ფულადი საშუალებანი | 8,3 | | | |
| 6 | ანგარიშსწორებანი | 76,8 | | | |
| 7 | მომავალ პერიოდის ხარჯები | 1,0 | | | |
| | ბალანსი... | 428,8 | | ბალანსი... | 428,8 |

### დანაკარგებისა და დაგროვების ანგარიში

| | | | |
|---|---|---|---|
| | | 1. დაგროვებანი საქონლისა და მზანაწარმის რეალიზაციით | 7,9 |
| დაგროვების სალდო | 7,9 | დანაკარგების სალდო | — |
| ბალანსი... | 7,9 | ბალანსი | 7,9 |

დირექტორი **შაფსონი.** მთ. ბუღალტერი **ჩერნიშევი.**

ბალანსი და დანაკარგ-დაგროვების ანგარიში დამტკიცებულია საქ. ადგილ. მრეწველობის სახკომის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

1211 საქართვ. ადგილ. მრეწვ. სახკომ. საბუღალტრო ჯგუფის ხელმძღვანელი **ჯანელიძე.**

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—5761, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—22—24, პ.-მგ. მდივნის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობის ამხ. ს თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", თბილისი, კამოს ქ. № 68. მთავლიტის რწმუნებული 2609